# სარბიელი

სპორტული გაზეთი   გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   ხუთშაბათი, 31 ოქტომბერი   1996 №113 (338)   ფასი 50 თეთრი


# კოშმარი ბესაზე

## დავით ყიფიანი: ევროპამ კუთვნილი ადგილი მოგვიჩინა

გამუკა კვარაცხელია

პორტუდან



მარცხით გულდამძიმებულ ყიფიანს ინტერვიუზე უარი მაინც არ უთქვამს.

— შედეგი თავისთავად მეტყველებს ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხზე. სალაპარაკოც ბევრი არ არის. ასეთ შედეგს ნაღდად არ ველოდი, რითაც ბოლო დროს გვახარებდა გუნდი და რა თვისებებიც ჰქონდათ ფეხბურთელებს, ამ მატჩში არ იყო. ჩვენი გუნდი ყველა რგოლში და ყველა კომპონენტში დაიჩაგრა. განსაკუთრებით სახტად დარჩა გუნდის ლიდერების სუსტი თამაშით. ასეთი დონის მატჩებში და ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ლიდერთა კარგ თამაშს. ამ რანგის შეხვედრებს, საწყენად ნუ მიიღებენ და, ახალგაზრდები ვერ მოიგებენ, ლიდერებმა უნდა მოიგონ...

**— რით ახსნიდით დინამოელთა ლიდერების — გოგიჩაიშვილის და ჯამარაულის ასეთ სუსტ თამაშს?**

— მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ წაგება მხოლოდ ფეხბურთელებს დავაბრალო, ჩემი პრინციპია, რომ წარუმატებლობის მიზეზები ჩემს თავში ვეძებო. რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ მინდორზე იყვნენ ის ფეხბურთელები, რომელთაც თამაშისწინა ფუნქციური მონაცემების მიხედვით საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდათ. სირბილში ჩვენებს დღეს არ წაუგიათ, წავაგეთ სწორედ იმაში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ფეხბურთში. ფაქტიურად, ყველა ორთაბრძოლა დავთმეთ. მეუხერხულება კიდეც თქმა, მაგრამ მოედანზე მყოფ მოთამაშეთაგან სამი-ოთხი თუ იბრძოდა ისე, როგორც ამ რანგის მატჩს შეეფერებოდა. სამ-ოთხი ფეხბურთელის კარგი თამაშით კი ასეთ შეხვედრებში წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია. კარგად მოგეხსენებათ, რას ვგულისხმობ სიტყვა ბრძოლაში.

**— ალბათ იმას, რასაც ლობჟანიძე აკეთებდა...**

— მართალი ბრძანდებით, ლობჟანიძის მოქმედებას ნამდვილად ერქვა ბრძოლა. რაკი ბრძოლაში წავაგეთ, აქედან გამომდინარე, წავაგეთ სისწრაფეში, წავაგეთ შუა ხაზი მთლიანად. რაც შეეხება ლობჟანიძეს, იგი აშკარად გამოირჩეოდა, თორემ წინაამდეგობის გაწევას კობიაშვილიც ცდილობდა, ღიღავაც, ზოიძეც. ისე, ამ წარუმატებლობის ფესვები უფრო ღრმად ძევს. ერთი რამე უნდა ვთქვა: დღეს საფეხბურთო ევროპამ ჩვენი ადგილი მოგვიჩინა ჩვენი დღევანდელი შესაძლებლობიდან გამომდინარე შეიძლება, ბევრს არც ახსოვს, მაგრამ მე მუდამ იმას ვლაპარაკობდი, რომ ჩვენი წარმატებები ძალიან კარგია, მაგრამ არ არის ჩვენი ფეხბურთი და არც ჩვენი გუნდი იმ დონისა, რომ ევროპულ გრანდებს შევეჯიბროთ და რომელიმე თასის მოსაგებად სერიოზულად ვიბრძოლოთ.

საწყენია, რომ ისეთ საფეხბურთო ქვეყანაში, როგორიცაა პორტუგალიაა, მაყურებელს უნიათო თამაშის გარდა თავი ვერაფრით დავამახსოვრეთ. მუდამ ვეუბნები ბიჭებს, თუ დიდ ფეხბურთელობაზე ოცნებობთ, მაღალი კლასის გუნდებში გსურთ თამაში და რაღაც პრეტენზიებიც გაგაჩნიათ ფეხბურთში, სწორედ ასეთ მატჩებში უნდა გამოიჩინოთ თავი-მეთქი. აბა, სხვანაირად მაღალ შეფასებას ვერ მიიღებ.

**— ზემოთ თქვით, წაგება მარტო ფეხბურთელების ბრალი არ არისო. ამ სიტყვებმა მაფიქრებინა, რომ „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი არც საკუთარ შეცდომებს უარყოფს...**

— რა თქმა უნდა, ჩემი მხრიდანაც იყო რამდენიმე შეცდომა. „მე მეგონა“ და ამგვარები, ასე ვთვლი, თავმოყვარე მწვრთნელმა არ უნდა თქვას. მწვრთნელი იმიტომ არის, რომ „არ უნდა ეგონოს“. აშკარად შევცდი იმაში, რომ ინალიშვილი დავაყენე ლატაპის წინააღმდეგ და თავიდანვე იაშვილი არ ვათამაშე. ახლა ეს შეიძლება ვინმეც თვითკრიტიკად მოეჩვენოს, მაგრამ მე არ ვთვლი ასე, ეს ფაქტების კონსტატაციაა. ამ ფეხბურთელების — ინალიშვილისა და დემეტრაძისა — დიდი იმედი მქონდა. ინალიშვილს პირდაპირ მივუთითე მატჩის წინ, რომ პერსონალურად ეთამაშა ლატაპის წინააღმდეგ, ლატაპიმ კი აგვიკლო პირდაპირ.

**— გეთანხმებით, გელი აშკარად ვერ გაუმკლავდა ლატაპის. რაც შეეხება დემეტრაძეს, ჩემი აზრით, გიორგის ბურთი უბრალოდ არ მისდიოდა...**

— დემეტრაძემ მისთვის ჩვეული თვისებები — სისწრაფე, კარზე დაგეშილობა, მოულოდნელი დარტყმები — ვერ გამოამჟღავნა. რაც შეეხება იმას, რომ მას ბურთი არ მისდიოდა, კი, შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა ეძებო ბურთი, ჩამოხვიდე, გაიხსნა, რაღაცნაირად შენ უნდა შექმნა მომენტი. ალბათ, გამოუცდელობამაც შებორკა.

**— ჩვენდა საუბედუროდ, გოლიც ძალზე „სწრაფად“ გაუშვით...**

— სწრაფმა გოლმა, მართლაც ძალზე იმოქმედა. არადა, კურიოზულ ვითარებაში გავიდა, ლატაპი ლამის ცენტრიდან წამოვიდა, ხუთმა კაცმა იგი კარამდე მოაცილა და დაარტყმევინა კიდეც, მითხარით, მსგავსი სადმე გინახავთ? ეს ცოტა სხვა რამეა.

**— ზემოთ თქვენს ერთ-ერთ შეცდომად იაშვილის თავიდანვე არდაყენება დაასახელეთ.**

— ჩემი ვარაუდით, წინ ორი სწრაფი მოთამაშის შესაძლებლობებს რომ ჯამარაულის ოსტატობა დაემატებოდა, მარცხნიდან კი ჩხაიძე, შეიქმნებოდა ფონი „ბოავიშტას“ დასაძლევად. ვიცოდი, რა აქტიურად თამაშობდა „ბოავიშტა“ წინ, მართლაც, რამდენი გაიძრნენ, იმდენი მომენტი შექმნეს, ჩვენ კი ვერაფერი მსგავსი, არადა. იაშვილს დემეტრაძე სწორედ ამად ვარჩიე.

**— პირველ ტაიმში ათნი დავრჩით და ალბათ თამაშიც მაშინ დამთავრდა. რამდენად ობიექტურად მიგაჩნიათ ჯელაძის გაძევება?**

— მე ამას მის გამოუცდელობას ვაბრალებ. ჯელაძე რომ გააგდეს, 2:0-ს ვაგებდით. თუ მაშინ ჯერ კიდევ ღვივოდა შანსის რაღაც ნაპერწკალი, ამის მერე გაქრა. ზოგი იტყვის, 0:2-ზე რაღა შანსი უნდა გქონოდათო, მაგრამ ასეც არ არის, ერთი გატანილი გოლი ყველაფერს ატრიალებდა. 0:1-ზე მეკარესთან პირისპირ გასულ გოგიჩაიშვილს რომ გაეტანა, ხომ ფაქტია, სხვა თამაში წავიდოდა... მაგრამ ეს ერთადერთი შანსი ვერ გამოვიყენეთ.

საბოლოოდ, ყველაფერი ლოგიკურია, მეტოქემ ღირსეულად გვაჯობა და ვულოცავ კიდეც გამარჯვებას. ჩემი აზრით, ნამდვილად არ არის ურიგო გუნდი, თანაც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი, სანჩესი აკლიათ. ისაც რომ დაემატებათ, ვთვლი რომ... არა, „მილანი“ და „აიაქსი“ არ არის, მაგრამ არც ისე ხელწამოსაკრავი გუნდია.

თუ გვსურს, რომ მომავალში ამნაირ გუნდებთან წარმატებით ვითამაშოთ, ბევრ რამეს უნდა გადავხედოთ, ბევრ რამეს...

**— რა უთხარით ფეხბურთელებს შეხვედრის შემდეგ?**

— საერთოდ, არ მჩვევია მატჩის მერე მოთამაშეებისთვის საყვედურის თქმა. თამაშის მერე ყველა აღგზნებულია ჩემი თამადობით. ამიტომ, ამ მიმაჩნია სწორად საყვედურები და მითითებები თამაშის შემდეგ. დღეს კი ვუთხარი, რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი-მეთქი...

**— რა ელის ახლა „დინამოს“?**

— მე მგონი, კონტრაქტის ვადაგასული ხუთი-ექვსი დინამოელი უკვე პირველი წრის მერე აღარ იქნება ჩვენთან და ამ გუნდსაც ის ბედი ეწევა, რაც მის წინამორბედს ორიოდე სამი წლის წინ.

**— მაშ, ისევ მკლავების დაკაპიწება მოგიწევთ...**

— ალბათ. ეგ გაუთავებლად შეიძლება, მაგრამ რას მოიტანს, არ ვიცი...

**— მუშაობის იმტაზე თუ ხართ?**

— დრო ყველაფრის მკურნალია. რამდენიმე დღეში მერაბ ჟორდანიაც ჩამოვა, ამ წაგებას უფრო სერიოზული ფესვები აქვს და დავსხდებით, ვილაპარაკებთ. საწყენია, რომ კარგად დაწყებული საქმე ცუდად დავაბოლოვეთ. ისე, არც იმ შრომას და თავდადებას მინდა გადავუსვა ხაზი, ამ ბიჭებმა რომ გასწიეს.

**— შვიდი წაუგებელი მატჩი უეფას თასზე ამ „დინამოს“ მაქსიმუმი იყო?**

— მე რატომღაც მგონია, რომ სრული შემადგენლობა რომ მყოლოდა და პატარ-პატარა შეცდომებიც არ დაგვეშვა, შეგვეძლო „ბოავიშტას“ ბარიერის გადალახვა. თუმცა, გულშემატკივრის ამბავი ხომ იცით, შემდგომი ბარიერის გავლაც მოუნდებოდათ. აი, „ბოავიშტას“ შემდეგ კი ალბათ შეუძლებელი იქნებოდა წარმატების მიღწევა. იმიტომ გითხარით, „ბოავიშტას“ გავლა შეგვეძლო-მეთქი, რომ შინ, ასე თუ ისე, მოგებული გვქონდა, იყო კიდევ რაღაც დაღებითი მომენტებიც, მაგრამ, ვიმეორებ, ყველაფერი ობიექტურად მოხდა.

თავად ფეხბურთელი ვიყავი და „გრასჰოპერთან“ წამიგია დიდი ანგარიშით, „ტოტენჰემთანაც“ და ემტეკასთანაც. ამ ტურნირმა ბიჭებს უდიდესი გამოცდილება შესძინა, ვფიქრობ, მოვა დრო და სერიოზული მუშაობა კიდევ უფრო დიდ წარმატებას მოიტანს. წლევანდელი გამოსვლით ჩვენმა გუნდმა საგაისოდ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.

ისე, ჩვენში დარჩეს და, ჩემპიონთა ლიგაში ჯერ ამ გუნდით თამაში როგორია და ხუთი-ექვსი ფეხბურთელის წასვლის მერე როგორიღა იქნება?! ჩემპიონთა ლიგაში „ნორჩი დინამოელით“ თამაში, ჩემი აზრით, ძალზე ძნელი უნდა იყოს...


იხილეთ მეორე გვერდი


## ჰოდლის არჩევანი

დღეს ლონდონში, ადგილობრივი დროით 12 საათსა და 30 წუთზე „პარკ ოტელში“ ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გლენ ჰოდლი პრეს-კონფერენციას აწყობს, რომელზეც თბილისში ჩამოსაყვან შემადგენლობას გამოაცხადებს. ჩვენი კორესპონდენტები ზურაბ მეძველია და დავით მჭედლიშვილი დაესწრებიან ამ პრეს-კონფერენციას და მათ რეპორტაჟს მომდევნო „სარბიელში“ შემოგთავაზებთ.

## ჩემპიონთა ლიგა

### IV ტური

**გრასჰოპერი 3:1 ოსერი**

1:0 მოლდოვანი (17), 2:0 მოლდოვანი (29 პ), 2:1 დანჟუ (48), 3:1 გრენი (59)

**რეინჯერსი 0:1 აიაქსი**

0:1 სხოლტენი (39)

**დორტმუნდი 1:2 ატლეტიკო**

1:0 ჰერლიხი (17), 1:1 რობერტო (37), 1:2 პანტიჩი (42)

**ვიძევი 2:0 სტიაუა**

1:0 მაიაკი (39), 2:0 ჩერვეცი (49)

**იუვენტუსი 5:0 რაპიდი**

1:0 ბოკშიჩი (4), 2:0 მონტერო (27), 3:0 დელ პიერო (28), 4:0 ბოკშიჩი (59), 5:0 დელ პიერო (74)

**მანჩესტერ იუნაიტედი 0:1 ფენერბაჰჩე**

0:1 ბოლიჩი (78)

**მილანი 4:2 გიოტებორგი**

1:0 ბობანი (4), 2:0 ალბერტინი (14 პ), 2:1 ბლომკვისტი (27), 2:2 ანდერსონი (32), 3:2 ლოკატელი (44), 4:2 ბაჯო (90)

**პორტუ 3:0 რუსენბორგი**

1:0 ზაჰოვიჩი (32), 2:0 დრულოვიჩი (41), 3:0 არტური (73)



# სლოვაკებისთვის შარშანაც უნდა მოგვეგო

ჯერ კიდევ მატჩის მსვლელობისას, დამთავრების შემდეგ კი განსაკუთრებით, უკლებლივ ყველა გაიძახოდა — ამათთან პირველი მატჩი როგორ წავაგეთო. ეს ამბავი ზუსტად ერთი წლის წინ მოხდა. საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი შეხვედრა ცხრა ქულით დათმო, ხოლო სლოვაკებს მას შემდეგ აღარ გაუმარჯვიათ. ამის თაობაზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტელიანმაც ისაუბრა წინა „სარბიელში“ და დასძინა, მაშინ ჩვენი გუნდი გაცილებით სუსტი და შეუთამაშებელი იყოო. ჩვენთვის უცნობია, ამ ერთ წელიწადში სლოვაკეთმა მოუკლო თუ მოუმატა, მაგრამ გუშინ ჩვენებისთვის სათანადო მეტოქე რომ ვერ აღმოჩნდა, ფაქტია. სტუმრებს დასამახსოვრებელი არაფერი გაუკეთებიათ და ვერც ისეთი ხელმოსაჭიდი იპოვეს, წარმატებას თუ არა, იმედს მაინც რომ მოუტანდათ. ქართველებმა კი იშვიათი რამ გააკეთეს — ქომაგები იოტისოდენადაც არ ანერვიულეს და არც იმის ეჭვი გააჩინეს, ვის დარჩებოდა გამარჯვება. ოცქულიანი მოგების მიუხედავად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებს თავიანთი საუკეთესო თამაში არ უჩვენებიათ. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს — „ღირსეულ წაგებებს“ და ქართულ სპორტულ ყოფაში ამ ბოლო დროს დანერგილ ერთგვარ ყურით მოთრეულ შეფასებებს ისევ ასეთი მოგება სჯობს — შესაძლოა, დაუძაბავად მოპოვებული, მაგრამ დამაჯერებელი.

სლოვაკები ერთადერთხელ, 2:0-ზე იყვნენ წინ და ამის მერე დაწინაურების შანსი არც ჰქონიათ. მათი უკანახაზელი ლუბომირ უჰნიაკი კარგი სნაიპერია. პირველ მატჩში მან ცხრიდან რვა სამქულიანი ჩაგვიგდო და შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. უჰნიაკს ჩხეიძე აედევნა, ხოლო საქართველომ პერსონალური დაცვა ირჩია. სიმართლე ითქვას, სლოვაკები უკანა ხაზისა და ფრთის ხარჯზე ერთხანს გვჯობნიდნენ, სამაგიეროდ, ფარზე ვერ იხეირეს. აქ ძირითადად სტეფანიას იმედად ვიყავით. ვოვამ მეტოქეებს ორჯერ უკნიდან ამოურტყა ბურთზე ხელი და მის მიერ წამოწყებული პირველი შეტევები შედეგიანად დასრულდა. შეტევაშიც ფარქვეშ გადავიტანეთ თამაში და დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ. იგივე სტეფანიას მხარი აუბა ნაცვლიშვილმა, რომლის შესვლების აღკვეთა შეუძლებელი აღმოჩნდა. ქართველები ბურთს დიდხანს ათამაშებდნენ, ნელა უტევდნენ და, რომ იტყვიან, „უეჭველ საგოლე მომენტამდე“ თამაშობდნენ. ამ ნელ ტემპს მაყურებელმაც შეუწყო ხელი — „ვითას“ მატჩებზე ატეხილი ყიჟინა-ხივილის ფონზე ტრიბუნების გუშინდელი სიჩუმე მართლაც სამარისებული გვგონებოდათ.


იხილეთ მეხუთე გვერდი


დღევანდელი „სარბიელი“ თორმეტგვერდიანია

## უეფას თასი

მეთექვსმეტედფინალის განმეორებითი მატჩი

პორტუ, სტადიონი „ბესა" 29 ოქტომბერი

## ბოავიშტა 5:0 დინამო

1. ალფრედუ

3. რუი ბენტუ 22. პედრო ემანუელი

30. მარიო სილვა 2. პაულუ სოუზა

5. დუარტე

25. ლაპატი 4. ტავარეში 13. ნელუ

9. ჯიმი 21. ნუნუ გომეში

11. დემეტრაძე

8. ჯამარაული 6. გოგიჩაიშვილი

10. ინალიშვილი 7. კიკნაძე

9. კობიაშვილი 5. ზ. ჯელაძე

2. ჩხაიძე 4. დიდავა

3. ლობჟანიძე

1. ზოიძე

შეცვლა: რუი ბენტუ — 17. ლიტუში (31), ინალიშვილი — 13. კერძევაძე (46), დემეტრაძე — 15. იაშვილი (46), კიკნაძე — 14. კუდინოვი (65), ნელუ — 7. ტიმოფტე (70), დუარტე — 6. ჰელდერი (85)

1:0 ლატაპი (3), 2:0, 3:0 ჯიმი (29, 55), 4:0 ლატაპი (69), 5:0 ტავარეში (90)

გაფრთხილება: დიდავა (19), ჯელაძე (32, 35)

გაძევება: ჯელაძე

მსაჯი: რ. ფილიპი (ლუქსემბურგი)

# კოშმარი ბესაზე

### მატჩის სტენოგრამა

1 წუთი — თამაშს დინამოელები იწყებენ, მაგრამ უმალ კარგავენ ბურთს, რომელიც ჯიმის მისდის და იგი ძლიერადაც ურტყამს. ზოიძის ბრწყინვალე რეაქციამ გოლისგან იხსნა „დინამო".

3 — ლატაპი თბილისელთა საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან ჩვენს მცველებს „ეჭიდავება", ბურთს მაინც არ კარგავს, ცენტრიდან შედის საჯარიმოში, ისწორებს ბურთს და ძლიერი დარტყმით ზოიძეს შანსს არ უტოვებს — 1:0.

12 — გომეშის დარტყმას ზოიძე იგერიებს.

15 — კიკნაძემ საჯარიმოსკენ გაჭრილ დემეტრაძეს არაზუსტი პასი მისცა.

19 — დუარტეს ძლიერი დარტყმა, ზოიძე ადგილზეა.

25 — ტავარეშის მოჭრილ დარტყმას ზოიძე ლამაზ ნახტომში ეუფლება.

26 — დემეტრაძე იბრძვის და მარჯვნიდან, კუთხურის ხაზიდან ბურთს საჯარიმოში აგდებს, იქ მეკარესთან ბრძოლაში გოგიჩაიშვილი ჩხაიძეს აწვდის, შემდეგ ინალიშვილის მეცადინეობით კუთხური მოვიპოვეთ.

27 — პორტუგალიელთა კონტრშეტევა კობიაშვილმა ჩაშალა, იქვე ბურთს ეუფლება ტავარეში, რომლის პასით ჯიმი კარში ურტყამს და ხარიხას აცილებს.

28 — ჩხაიძე — ინალიშვილი — დემეტრაძის კომბინაცია თამაშგარეთი დამთავრდება.

29 — ლატაპის პასით ჯიმი მარცხნიდან შედის ჩვენს საჯარიმოში და ძლიერი დარტყმით ათიოდ მეტრიდან ზოიძის ახლო კუთხეში გააქვს. 2:0.

33 — ჯიმი — ლატაპის კომბინაცია და ისევ ზოიძე გვშველის.

34 — ჯამარაულის პასით მინდვრის შუაგულიდან გოგიჩაიშვილი მარჯვნიდან შედის მეკარესთან პირისპირ, ალფრედო წინდაუხედავად გამორბის, გოგიჩაიშვილი, წესისამებრ, მარჯვნივ იგდებს ბურთს, მაგრამ ძლიერად და ლამის კუთხურის ხაზთანლა ეუფლება, იქიდან დარტყმულ-ჩაწოდებული კი გარედან ხვდება ბადეს. ეს იყო დინამოელთა მიერ განხორციელებული ერთადერთი საგოლე შეტევა და ერთადერთი კარში დარტყმა.

34 — ჯელაძემ დუარტე მოცელა და მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

35 — ჯიმი ისევ „დასეირნობს" ჩვენს საჯარიმოში, ურტყამს, მაგრამ აცილებს.

36-37 — კიკნაძე ზედიზედ ორჯერ უხეშად ცდება.

38-42 — ლობჟანიძე, ლამის ერთადერთი ნათელი წერტილი ჩვენს გუნდში, მეგობრებს თავგანწირვის მაგალითს უჩვენებს.

43 — ტავარეშის პასს ლატაპი კარში დარტყმით აბოლოვებს, ზოიძის ბრწყინვალე რეაქცია და კუთხური.

44-45 — ორწუთიან მონაკვეთში „ბოავიშტა" ბურთის კოლექტიურიართმევის ჩინებულ მაგალითს უჩვენებს „დინამოს" და ბოლო წუთზე ლატაპის მიერ საჯარიმოში ჩაგდებულ ბურთს მარიო სილვა შეუჩერებლივ ურტყამს — ბურთი ოდნავ სცდება კარს და ტაიმიც მთავრდება.

50 — ლობჟანიძე ხვდება, რომ ნახევარდაცვა ტავარეშს და ლატაპის ხელს ვერ უშლის და ხანდახან ზონას სტოვებს, ხან ლატაპის „ჩეხავს", ხან ტავარეშს, თამაშის ტემპს აგდებს, მსაჯსაც ეკამათება, მეტოქესაც აშინებს.

54 — ტავარეში კვლავ გაატარეს ჩვენებმა და ამჯერად დიდავა გვშველის.

55 — ჯამარაულის უზუსტო პასს გოგიჩაიშვილი ვერ იღებს, ჩხაიძესთან ორთაბრძოლაში ლატაპი საჯარიმოში აწვდის, იქ ჯიმის თაურით მესამე გოლი გააქვს.

60 — ჯიმიმ ლატაპის ჩამოწოდებული ბურთი კვლავ გადააცილა ხარიხას.

62 — ლატაპისთან შეჯახებას ლობჟანიძე კამათით ამთავრებს, შეშინებული ლატაპი „სკილეტას" ბოდიშს უხდის.

65 — ლიტუში თაურს აცილებს.

69 — ჯამარაულის შეცდომის შემდეგ ლატაპი პირისპირ გადის ზოიძესთან, ჩვენს მცველებს თამაშგარე ჰგონიათ. ზოიძე ბურთს კი იგერიებს, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერია, რომ ბურთი რიკოშეტით კარში ეშვება — 4:0.

74 — დიდავას რეიდი იაშვილისკენ პასით დამთავრდა, იაშკა ბურთს ვერ ეწევა — იქვე „დინამომ" მეორედ მოიპოვა კუთხურის ჩაწოდების უფლება.

76 — ლობჟანიძეს თავგანწირვა მიკროტრავმად უჯდება. სამწუთიანი წამლობის შემდეგ ნუგზარი მინდორს უბრუნდება.

77 — გომეშის პირისპირ გასვლას ზოიძე უვნებელყოფს.

90 — ჩვენი მცველების პოზიციური შეცდომა და ნახევარდაცვის უნიათობა ტავარეშს საშუალებას აძლევს საჯარიმოს ხაზიდან მოჭრილად დაარტყას და მარცხენა ცხრიანში მეხუთე გოლი გაგვიტანოს.

## „ბოავიშტა" სინკუ, „დინამო" — ზერო...

„ბოავიშტა" — უნ, „დინამო" — ზერო, „ბოავიშტა" — დოიშ, „დინამო" — ზერო, „ბოავიშტა" — ტრეშ, „დინამო" — ზერო, „ბოავიშტა" — კუატრო, „დინამო" — ზერო — გაჰკიოდა მთელი მატჩის განმავლობაში (თანაც ათ-ათჯერ გამეორებით) პრესლოჟაში ჩემს გვერდით მჯდომი პორტუგალიის რადიოს კომენტატორი ფერნანდო ეურიკო, საათნახევარი ავტომატივით რომ კაკანებდა.

„დინამო" კი მართლაც „ზერო" იყო ამ მატჩში და 0:12 რომ არ წააგო, ზოიძეს უმადლოდეს. ისე, პორტუგალიელებს რომ დასჭირვებოდათ, ამ ანგარიშითაც მოგვიგებდნენ, იმდენად უნიათოდ ირჯებოდნენ დინამოელები.

## „ტიროლი" განმეორდა...

ინსბრუკი. 1994 წლის 27 სექტემბერი. „ტიროლი" — „დინამო". მე-4 წუთი, ჩერნი — 1:0, 32-ე წუთი, შტიოგერი — 2:0, 35-ე წუთი, დანეკი — 3:0, 36-ე წუთი, შოთა არველაძე — 3:1, 56-ე წუთი, დანეკი — 4:1, 88-ე წუთი, იანეშიცი — 5:1.

პორტუ. 1996 წლის 29 ოქტომბერი. „ბოავიშტა" — „დინამო". მე-3 წუთი, ლატაპი — 1:0, 29-ე წუთი, ჯიმი — 2:0, 33-ე წუთი, ლატაპი ხელსაყრელ მომენტს აცუდებს, 34-ე წუთი, გოგიჩაიშვილი ვერ იყენებს მეკარესთან პირისპირ გასვლას, 56-ე წუთი, ჯიმი — 3:0, 69-ე წუთი, ლატაპი — 3:0, 90-ე წუთი, ტავარეში — 5:0.

პორტუში მატჩის შემდეგ შოთა არველაძის ის სიტყვებიც გამახსენდა, ინსბრუკში თამაშის მერე რომ მითხრა:

– ის, რაც მეტოქემ ითამაშა, ჩვენ უნდა გვეთამაშა...

– ჩვენს ჩემპიონატში სუსტ გუნდებთან თამაში ძალაუნებურად გვასუსტებს, ასეთ პირობებში ოსტატობის ამაღლება შეუძლებელია...

– ვთვლი, რომ „დინამოს" მარტო რამდენიმე კაცი აქცევს ყურადღებას, თუ ეს კვლავაც ასე გაგრძელდა და მთელი საქართველო არ დაგვიდგა მხარში, არათუ ჩვენ, 16 წლის ბიჭებიც კი დაიკარგებიან ჩვენი ფეხბურთისთვის.

.. ძნელია უმცველებოდ თამაში...

ნიკა ჩხეიძემ კი მაშინ ეს თქვა:

– ზოიძეს ვერცერთ გოლში დავადანაშაულებ, პირიქით, იყო მომენტები, როდესაც გუნდი იხსნა და რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო.

– გაცილებით უკეთესი იქნება, თუ საქართველოშიც, ავსტრიის მსგავსად, ათგუნდიანი ჩემპიონატი გვექნება 4 წრედ...

მოკლედ, ისტორია განმეორდა, ეგ იყო, „ბოავიშტა" „ტიროლზე" ძლიერ გუნდად მეჩვენა და ჩვენს შემადგენლობაში ქინქლაძე და შოთა არველაძე არ იყვნენ.

## შეპარდნაძე დამეხმარა

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „სოლვერდე", რომელშიც დინამოელები და მათი ქომაგები დაგვაბინავეს, ზედ ოკეანის პირას მდებარეობდა და გვირაბი პირდაპირ ოქროსფერქვიშიან პლაჟზე გაგიყვანდათ. დინამოელები მართლაც ჩინებულად დაბინავდნენ და ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი ჰქონდათ.

მატჩის დაწყებამდე 24 საათით ადრე „ბესას" სტადიონს მივადექით. ჩვენების საათიან წვრთნას „ბოავიშტას" თავკაცი ზორან ფილიპოვიჩი გულდასმით აკვირდებოდა და ჩემგან ინტერვიუსაც იღებდა, ლამის ყველა დინამოელის ავან-ჩავანი გამომკითხა და ბოლოს მითხრა, ჯამარაულის და გოგიჩაიშვილის ყიდვა რომ მოვისურვო, შენი აზრით, რა დამიჯდებაო.

— ფული არ გეყოფათ, გავეხუმრე.

ამის შემდეგ ფილიპოვიჩი ერთი-ორი დინამოელის ასაკითაც დაინტერესდა და უმალ ადგილობრივი ტელეჟურნალისტების ტყვეობაში აღმოჩნდა. ხაზს ვუსვამ, ტელეჟურნალისტებისა-მეთქი, რაკილა მწერალთა ამქარი ამ მატჩით დიდად არ დაინტერესებულა და ჩვენს ჩასვლას თუ „ბოავიშტასთან" მატჩის პერიპეტიებზე გაზეთებში არაფერი მინახავს, ალბათ, არცაა გასაკვირი, ნახევარმილიონიანი პორტუს ჯილა ხომ ქალაქის სეხნია გუნდია და „ბოავიშტას", თურმე, ძირითადად მისი სეხნია შვიდკილომეტრიანი ქუჩის მცხოვრებლები ქომაგობენ. სტადიონზე მოსული წესრიგის დამცველებიც „პორტუს" ქომაგები იყვნენ.

თამაშის წინა დღეს კი ფაქსის რედაქციაში გამოსაგზავნად გვარიანად ვიწვალე, ამერიკის ჯორჯია ეგონათ და კარგა ხანს მტანჯეს, რომელი ჯორჯიიდან ვიყავი, ვერაფრით გავაგებინე. ვიაზრე და ჩვენი პრეზიდენტის გვარი ვუთხარი, რომლის ხსენებაზე უმალ აზრზე მოვიდნენ.

თამაშის წინა დღეს „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე 36 წლის გახდა, მაგრამ დანა პირს არ უხსნიდა: ცუდი წინათგრძნობა მაქვს, გული ავს მიგრძნობსო.

ჩვენი სასტუმროდან გამოსვლა და „პორტუსთან" ჩამოსული „რუსენბორგის" შემოსვლა ერთი იყო.

## აქა ამბავი „დინმოს" გაცამტვერებისა

ურემგადაბრუნებულზე გზის დანახვა ადვილია, როგორ ითამაშებდა „დინამო", ყიფიანს რომ სხვა შემადგენლობა დაეყენებინა, კაცმა არ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ იმ დღეს „დინამო" გუნდს კი არა, საქართველოს პირველობაზე რომ ვიცით ხოლმე სუსტ გუნდზე თქმა, ბანდააო, იმას უფრო მოგაგონებდათ. არავითარი კავშირი რგოლებს შორის, დემეტრაძე მარტოდმარტო შერჩა პაულუ სოუზას, რუი ბენტუს, პედრო ემანუელს და მარიო სილვას. ყიფიანის წინასწარმეტყველება ახდა, ფილიპოვიჩმა ლიბერო ისაიაში დაასვენა და სათადარიგოთა სიაშიც კი არ შეიყვანა. ტავარეშისთვის ხელ-ფეხი სერჟიო დუარტეს მოედნის შუაგულში აქტიურ მოქმედებას უნდა გაეხსნა, მაგრამ არც დასჭირვებია, რაკილა „დინამოს" ნახევარდაცვამ ვერც ფეხბურთი ითამაშა და, უფრო უარესი, არც ირბინა! ფილიპოვიჩმა სწორად გათვალა და ბურთიან ჯამარაულს ერთი კაცი რომ მიეწერებოდა, მეორე იმავ წამს აზლევდა. ასეთი ჯამარაული მე არ მახსოვს, გოჩას პასების 95 პროცენტი წუნი იყო. გოგიჩაიშვილის პრობლემა ფილიპოვიჩმა ასე გადაჭრა: კახის ფლანგზე მიიმწყვდევდა ორი კაცი, მინდვრის შუაში გზას უკეტავდნენ და ისიც, ხეირიანად გარბენას რომ ვერ ასწრებდა, ბურთს ჰკარგავდა. მოკლედ, ჩვენი ორი იმედი — გოგიჩაიშვილი და ჯამარაული პირწმინდად ამოკეტეს და არც ამათ გასჩენიათ სურვილი, ხისტი თამაშით მაინც აენაზღაურებინათ სარგებლიანობაში დანაკლისი. ჯიმის კობიაშვილთან მოუწია თამაში, ლევანი კი ცდილობდა, მაგრამ მასთან ვერას გახდა. ზვიად ჯელაძე ნუნუ გომეშს „გადაეკიდა", მაგრამ ყვითელ ბარათს გამორჩა, მეორე კი დუარტემ მიაღებინა და ეს მისთვის უეფას ეგიდით გამართულ ხუთ მატჩში მეხუთე ყვითელი გამოდგა! დიდავაც იბრძოდა, რაც შეეძლო, ხან ნელუს დევნა უწევდა, ხან ჯიმის და გომეშის, ხანაც მარიო სილვასი. იბრძოლა გივიმ და, თუ არა გაუკეთებია რა, ყოველ შემთხვევაში, არც დაუშავებია რამე. ყვითელიც სათამაშო ეპიზოდში მიიღო. ინალიშვილი ლიტაპიმ პირწმინდად ლაჯაბნა, ხან საიდან აწიოკებდა ჩვენს დაცვას, ხან — საიდან. კიკნაძემ ვერ ივარგა და ჯამარაულს ზურგი ვერ გაუმაგრა. ჩხაიძე ხანდახან გაიქროლებდა მარცხენა ფლანგზე, მაგრამ თითქმის მუდამ უშედეგოდ, ისიც დაბნეული მეჩვენა. ზოიძემ თავი არ დაიზოგა, მაგრამ მისი მოქმედება საჯარიმოთი შემოიფარგლებოდა. ოცჯერ დაურტყეს კარში და ათი კუთხურიც ჩაუწოდეს, „დაფლეთილი" დაცვის შემყურე (განსაკუთრებით ჯელაძის გაძევების შემდეგ) ჭკუას როგორ არ გადასცდა, გასაკვირიც კია. ჩემი ვარაუდი, „ბოავიშტა" ნახევარდაცვით მოგვიგებს-მეთქი, სამწუხაროდ, გამართლდა. ლატაპის ჩვენებმა ვერაფერი დაუპირისპირეს და მეტოქემაც შეტევაში გაილაღა...

შეგნებულად მოვიტოვე ბოლოსთვის ლობჟანიძე, რომელიც ყიფიანმა ლიბეროდ დააყენა. თუ მატჩის საუკეთესო არა (ლატაპიმ, ჯიმიმ და ტავარეშმა ჩინებულად ითამაშეს), ყველაზე ჟინიანი ფეხბურთელი ნაღდად იყო. ჟინი, აი, რა აკლდათ დინამოელებს ამ მატჩში. წაგებაც არის და წაგებაც, 0:10 წააგე, მაგრამ გაიღე, რაც შეგიძლია. ობიექტურნი რომ ვიყოთ, ამ „დინამოს" ეს „ბოავიშტა" უდაოდ მოუგებდა, მაგრამ 0:2 ან 1:3 და 0:5 ერთია?!

ლობჟანიძემ ყველას უჩვენა, როგორ უნდა ბრძოლა. იგი ყველგან იყო, არც თავისი ფეხები დაუზოგავს და არც მეტოქეებისა, ლამის კოჭიც დატოვა მინდორზე, იბრძოლა, იომა, იჩხუბა, პირნათელმა ჩაამთავრა თამაში და ყველას დაანახა, რაც შეუძლია. ის იყო ამ დღეს დინამოელთა წინამძღოლი, მაგრამ გუნდი ცხვრის ფარასავით დაბნეული იყო. ლამის ყველა მეორე თუ არა, მესამე პასი მეტოქეთა ლუკმა ხდებოდა.

თამაშის შემდეგ ჯიმი ყინჩად შემოვიდა პრეს-კონფერენციაზე და ჟურნალისტების კითხვაზე, შენ, აშკარად საუკეთესო მოედანზე, სხვას ვის გამოჰყოფდიო, დაიმორცხვა, მე, რაც შემეძლო, ის გავაკეთე, მთელმა გუნდმა ივარგა, მარტო მე რა შუაში ვარო. რაც შეეხება მეტოქეს, სალაპარაკოდაც არ ღირს, თბილისშივე უნდა მოგვეგოო. ლატაპი უფრო ზრდილად იქცეოდა, ქების ნიშნად ცერი რომ დავანახე, ფეხზე წამოდგა და მადლობა გადამიხადა. ნუნუ გომეშს წამით ვკიდე თვალი, „გიოლფრენდს" ჩახუტებული შინდისფერ მერსედესში ჩახტა და ადგილიდან მოწყვიტა. კლუბის ბედნიერი პრეზიდენტი ვალენტინ ლოურეირო კი „ხალხში გამოსულიყო" და გულშემატკივრებს გულღიად ეპაასებოდა.

## მეტი რაღა გინდა, ვეჟო?..

ზემოთ, წავრი კი ვუქიჟინე „დინამოელებს", მაგრამ ვიყოთ ობიექტურნი: „მოლდესთვის" რომ დაგვეთმო, [illegible] ჩვენების [illegible] გასაკვირი, „მოლდე" უფრო ჩვენი ტოლსწორი იყო და რომ დავემარცხებინეთ, ვინ შეიცხადებდა? დინამოელებმა მასაც გაუძლეს და მერე „ტორპედოს" მოგებით სულაც დიდი ხნის ბოლმა ამოგვაღებინეს, ჩვენც, გულშემატკივრებმა, ლამის უმალ უეფას თასის აღება მოვთხოვეთ 18-19 წლის ბიჭებით დაკომპლექტებულ გუნდს. ამათ მეშვიდე მატჩიც წაუგებლად ჩაატარეს და მეტიც, მოიგეს კიდეც „ბოავიშტასთან". მეტი რაღა გინდა, ვეჟოო, იტყოდა ზაალ ბარათაშვილი. მართლაც, მეტი რაღა გვინდა ერთი წლის შეკრებილ გუნდთან და მის მწვრთნელთან? უპირველესად, „დინამოს" დამსახურებაა, რომ წლევანდელი ევროკოეფიციენტების მიხედვით, საქართველო მეორე ადგილზეა შვეიცარიის შემდეგ, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში ჰყავს გუნდი და ძირითადად ამით გვიგებს (ექვს ნაღდ თამაშს თამაშობს). „დინამომ" იმაზე მეტი შეძლო, ვიდრე წარმოვიდგენდით, ეგაა, ბოლო გამოდგა ერთობ მწარე და სამარცხვინო, თორემ, ამ ბიჭებისა და მათი მწვრთნელის მისამართით აუგი რატომ უნდა დაგვცდეს.

შე დალოცვილო, აბა, რას აიკელი ბიჭები საყვედურებითო, იტყვის მავანი ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ. ჩემი პასუხი ეს იქნება: კრიტიკას ჯერ არავისთვის უვნია და თუ ვინმე ამგვარ კრიტიკას შეურაცხყოფად მიიღებს, ამისთვის ცივი წყალი არსებობს. შეძახილი, რა გინდ მკვახე იყოს, აფხიზლებს ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს ის, კრუიფი თუ ყიფიანი, მარადონა თუ ჯამარაული...

მადლობა „დინამოში" დამრჩენებს და მადლობა წამსვლელებს, თქვენ კი, ბატონო დავით, მკლავები დაიკაპიწეთ, რას იზამთ, თურმე იგებენ ფეხბურთელები და აგებენ მწვრთნელები. არც პირველი ხართ ამაში და არც უკანასკნელი იქნებით, „დინამოს" ყველაზე მეტად ყიფიანი ახლა სჭირდება...

## ზორან ფილიპოვიჩი: ანგარიში ლოგიკური იყო

შეხვედრის შემდეგ პორტუგალიელთა მწვრთნელმა განაცხადა: იმის თქმა, რომ მატჩის შედეგი შეეფერება ჩემს შთაბეჭდილებას „დინამოზე", არ შემიძლია. ფეხბურთი სიურპრიზებით სავსე სპორტია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. „დინამო" კვლავაც ძლიერ გუნდად მიმაჩნია.

**— სიტყვა ძლიერი ხომ არ მომესმა?**

— არა, „დინამო" ძლიერი გუნდია, რომელშიც კარგი ფეხბურთელები თამაშობენ და რომელსაც კარგი მწვრთნელი ჰყავს.

**— როდის იგრძენით, რომ მოგებული იყავით?**

— ძალზე კარგად ვითამაშეთ და მეორე გოლის მერე მივხვდი, რომ „დინამოს" ძალზე გაუჭირდებოდა თამაშში გარდატეხის შეტანა.

**— თქვენი აზრით, რატომ წააგო „დინამომ"?**

— „დინამომ" იმიტომ წააგო, რომ „ბოავიშტამ" ითამაშა ძალზე კარგად და ტექნიკურად. ფეხბურთელები ძალიან ყურადღებით და თავდადებით თამაშობდნენ. გოლებიც გაჰქონდათ. საერთოდ, ხშირად ხდება, რომ შედეგი არ შეესაბამება თამაშის არსს, მაგრამ ამ შემთხვევაში ასე არ იყო, ჩვენი დიდი ანგარიშით გამარჯვება ლოგიკური იყო. თქვენი წაგების მიზეზი კიდევ ის იყო, რომ ორი მეტად ძლიერი ფეხბურთელი (კალაძე, მაჭავარიანი) ვერ ჩამოიყვანეთ...

**— გუშინ „დინამოს" ვარჯიშზე ჯამარაულის და გოგიჩაიშვილის ფასითაც კი დაინტერესდით, ახლა, მათი ასეთი სუსტი თამაშის შემდეგ რას ფიქრობთ?**

— დიდ სიამოვნებით ავიყვანდი ორივეს და არა მარტო მათ.

**— ჯიმის პორტუგალიის ჩემპიონატშიც თუ აპირებთ ძირითადის მისი ასეთი კარგი თამაშის შემდეგ (ეს და მომდევნო კითხვები ფილიპოვიჩს ჩემმა პორტუგალიელმა კოლეგებმა დაუსვეს)?**

— ჯიმიმ უდავოდ ძალზე ძლიერად ითამაშა, რაც შეეხება მის ძირითადში დაყენებას, ჯერ ადრეა ამაზე საუბარი, შემდგომი თამაშები ვნახოთ...

**— ელოდით დიდი ანგარიშით გამარჯვებას?**

— ფეხბურთში ყველაფერი ხდება, ამ ანგარიშს არა, მაგრამ უეჭველად რომ მოვიგებდით, ვიცოდი. ჩემი ბიჭები მოგებისთვის იყვნენ განწყობილნი.

**— ეს თქვენი გუნდის მაქსიმუმი იყო?**

— ასე კარგად ჯერ არ უთამაშიათ, ტექნიკურად და ფიზიკურად ასე ძლიერნი ჯერ არ ყოფილან. მადლობა ბიჭებს, რომ არ დამალალატეს. უბედნიერესი დღეა ჩემს ცხოვრებაში. მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივარსაც, მათმა ქომაგობამ დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს გამარჯვებაში.

## უეფას თასის მეთექვსმეტედფინალი საპასუხო მატჩები

UEFA CUP

ბოავიშტა (პორტუგალია) — დინამო (საქართველო) 5:0 (0:1)
1:0 ლატაპი (3), 2:0 ჯიმი (25), 3:0 ჯიმი (55), 4:0 ლატაპი (67), 5:0 ტავარეში (89)

ტრაბზონსფორი (თურქეთი) — შალკე (გერმანია) 3:3 (0:1)
0:1 დე კოკი (33), 0:2 დე კოკი (38), 1:2 შ. არველაძე (55), 2:2 ჰამი (65), ჰამი (70), 3:3 მაქსი (75)

სპარტაკი (რუსეთი) — ჰამბურგი (გერმანია) 2:2 (0:3)
1:0 მელეშინი (10), 1:1 შუპი (29), 2:1 ტიხონოვი (42), 2:2 ჰარტმანი (73)

მონაკო (საფრანგეთი) — მიონხენგლადბახი (გერმანია) 0:1 (4:2)
0:1 კლინკერტი (70)

გრაცი (ავსტრია) — ინტერი (იტალია) 1:0, 4:5 პენალტებით, (0:1)
1:0 საბიცერი (35 პ)

ნაციონალი (რუმინეთი) — ბრიუგე (ბელგია) 1:1 (0:2)
0:1 ვერჰეიენი (62), 1:1 ნიკულესკუ (63)

ბრონდბიუ (დანია) — აბერდინი (შოტლანდია) 0:0 (2:0)

ბეშიქთაში (თურქეთი) — ლეგია (პოლონეთი) 2:1 (1:1)
1:0 ამოკაში (14), 1:1 კუხარსკი (37), 2:1 იანკოვი (78)

ქსამაქსი (შვეიცარია) — ჰელსინბორგი (შვედეთი) 1:1 (0:2)
0:1 იონსონი (43), 1:1 ბონალაირი (51 პ)

ანდერლეხტი (ბელგია) — გიმარაეში (პორტუგალია) 0:0 (1:1)

ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ესპანიოლი (ესპანეთი) 0:1 (3:0)
0:1 არტეგა (9)

რომა (იტალია) — კარლსრუე (გერმანია) 2:1 (0:3)
1:0 ბალბო (21), 2:0 ბალბო (26), 2:1 კელერი (83)

ნიუკასლი (ინგლისი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 4:0 (2:3)
1:0 ასპრილია (42), 2:0 ასპრილია (58), 3:0 ჟინოლა (65), 4:0 ფერდინანდი (90)

ვალენსია (ესპანეთი) — სლავია (ჩეხეთი) 0:0 (1:0)

სპორტინგი (პორტუგალია) — მეცი (საფრანგეთი) 2:1 (0:2)
0:1 არპინონი (17), 1:1 სა პინტუ (73), 2:1 სა პინტუ (83)

ტენერიფე (ესპანეთი) — ლაციო (იტალია) 5:3 (0:1)
0:1 ნედვედი (13), 1:1 ნესტა (15 საკ. კარში), 2:1 კოდრო (26), 2:2 ფუზერი (29), 3:2 ხუანელე (39), 3:3 აზიგარი (47), 4:3 იოკანოვიჩი (48), 5:3 ხუანელე (62)

# იტალიელთა პრობლემები

იტალიურ გუნდებს ცუდი დღე ჰქონდათ. სამიდან ორი გათამაშებას ჩამოშორდა. შემდეგ ეტაპზე ერთადერთმა მილანის „ინტერმა" გააღწია და ისიც დიდი წვალებით. საქმე პენალტებამდე მიუვიდა. პენალტებში მილანელებს მეკარემ, ჯანლუკა პალიუკამ უშველა — ერთხელ მოიგერია. საინტერესო ის იყო, რომ იტალიური გუნდის ფეხბურთელებმა ხუთივე თერთმეტმეტრიანიდან ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდეს. ზოგადად, „ინტერში" მოთამაშე ფეხბურთელების გვარებს რომ გადავავლოთ თვალი და იგი მისი მეტოქის გრაცის „კაზინოს" მოთამაშეთა სიას შევადაროთ, გონებით პენალტებამდე საქმეს ნამდვილად ვერ მივიყვანთ. სეთუ შეიძლება იური ჯორკაეფს, ივან სამორანოს, ჟოსელინ ანგლომას, პოლ ინსს, აარონ ვინტერს, ჩირიაკო სფორცას და მათ იტალიელ თანაგუნდელებს იმაზე მიუდგეთ საქმე, ლონიერად თუ ულონოდ დაარტყამს ვინმე ერვინ დამპფჰოფერი პენალტს. აქ მათ გამართლებად არც პოლ ინსის გაძევება ივარგებს, მით უფრო, რომ ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი დამატებითი დროის მეხუთე წუთზეღა დასაჯეს წითელი ბარათით. ავსტრიელთა გულადობა და თავდადება კი უთუოდ აღნიშვნის ღირსია. მათ საერთო ანგარიში 35-ე წუთზე გაქვითეს, როდესაც თერთმეტმეტრიანი მოინადირეს და ჰერფრად საბიცერმა ზუსტად დაარტყა.

„რომამ" ოლიმპიურ სტადიონზე გერმანულ „კარლსრუეს" უმასპინძლა. რომაელებს 0:3 ჰქონდათ პირველ თამაშში წაგებული და დიდი მოგების ჟინით შეპყრობილნი ეკვეთნენ მომხდურთ. მათი ალტაცება მალე დაფასდა. 22-ე და 26-ე წუთებზე არგენტინელმა აბელ ბალბომ ორი გოლი შეაგდო. მეორე ტაიმში ჟინი გაიზარდა, მაგრამ გერმანელებსაც მიეცათ სახიფათო კონტრშეტევების საშუალება. მაყურებლებისთვის სასეირო სანახაობა საბოლოოდ 2:1 დამთავრდა. თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე მარკ კელერმა ის გოლი გაიტანა, რომელმაც მეტოქეთა ურთიერთობაში ყველაფერი საბოლოოდ გაარკვია. ისე კი, შეხვედრა ნებისმიერი ანგარიშით შეიძლებოდა დამთავრებულიყო.

კანარის კუნძულებზე იტალიის დედაქალაქის მეორე გუნდი „ლაციო" შინ მოგებული 0:1-ით ჩავიდა, მაგრამ მოწკრიალებული ცის ქვეშ, თბილ სამხრეთულ ამინდში უჩვეულო ანგარიშით 3:5 დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა. ანგარიში რომაელებმა გახსნეს. მე-13 წუთზე ჩეხი პაველ ნედვედის ჩინებულ დარტყმას „ტენერიფეს" მეკარე მარსელო ოხედამ ვერაფერი დაუპირისპირა. ცოტა ხანში ნესტას ავტოგოლმა ანგარიში გაათანაბრა, მეპო კოდრომ კი 2:1 გახადა. ბოსნიელის გოლმა „ლაციოს" მოთამაშეები ძლიერ აღაშფოთა, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მსაჯი მათ სასარგებლოდ ჯარიმას დანიშნავდა. 29-ე წუთზე დიეგო ფუზერმა აღადგინა წონასწორობა, მაგრამ ათი წუთის შემდეგ ხუანელემ კვლავ კუნძულელები გაიყვანა წინ.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც იტალიის ნაკრების ფორვარდმა პიერლუიჯიმ კაზირაგიმ 3:3 მოახერხა. 60 წამში სლავიშა იოკანოვიჩმა 4:3 გახადა, 62-ზე კი ხუანელემ შედეგს საბოლოო სახე მისცა.

იტალიელებსავით სამიდან ორი პორტუგალიელებსაც გაუვარდათ.

„ბოავიშტა" როგორც გავიდა მეტისმეტად კარგად ვიცით, „გიმარაეშმა" კი ბელგიაში „ანდერლეხტს" ჩააკითხა. პირველი თამაშის ანგარიში 1:1 იყო, მეორეში, მხარეებმა გოლი ვერ გაიტანეს და შედეგად, მეტოქის მოედანზე შეგდებული ბურთის წყალობით გამარჯვების ღიმილი ბელგიელებმა მოიხდინეს.

ლისაბონის „სპორტინგმა" მართალია საფრანგეთის „მეცს" 2:1 მოუგო, მაგრამ იქ, საფრანგეთში 0:2 ჰქონდა წაგებული და ისევე, როგორც თანამემამულე „გიმარაეშმა" თავი ჩაქინდრა. „მეცი" ბოლო ხუთ წუთში 10 მოთამაშით დარჩა მოედანზე. მსაჯმა პასკალ პიერი გააძევა და ფრანგთათვის დროის უძნელესი მონაკვეთი დაჰყენა. ამ მონაკვეთში სტუმართა მეკარემ ლაიონელ ლეტიზიმ გამოიჩინა თავი. მან მანამდეც მოიგერია რთული დარტყმები, რმელთა შორისაც საგანგებოდ აღსანიშნავი, მეშვიდე წუთზე, მაროკოელი ნახევარმცველის მუსტაფა ჰაჯისა იყო. მე-17 წუთზე მასპინძლებს გუნება გაუფუჭდათ. მათმა ბელგიელმა მეკარემ ფილიპ დე ვილდმა შეცდომა დაუშვა და სტუმართა ნახევარმცველი ფრედერიკ არპინონი გოლით გაახარა. ფრანგთა ამ წარმატებამ ლისაბონელებს თამაშის რიტმი დაურღვია. ისინი გონს მეორე ტაიმის მეხუთემეათე წუთზე მოეგნენ, როდესაც კვლავ შეტევის იმტაზე მოვიდნენ. 55-ე წუთზე „სპორტინგის" მიერ სპილოს ძვლის ნაპირებიდან შეძენილმა თავდამსხმელმა ახმედ უატარამ რიკარდო სა პინტუს პასით ხარიხას მოარტყა. 73-ეზე სა პინტუმ აღარავის დაანება, საჯარიმოში სამი მეტოქე მოატყუა და ანგარიში გაათანაბრა. ათი წუთის შემდეგ მანვე გარდატეხა თამაში, მეორე შეაგდო, მაგრამ მეტი ვერ შეძლო.

ნიუკასლში კევინ კიგანის მოთამაშეებმა უნგრეთის „ფერენცვაროში" გაწკეპლეს — 4:0. გოლთა შორის ყველაზე ლამაზი ფრანგი დავიდ ჟინოლასი იყო. მან მარჯვენა ფეხით ოსტატურად შეიგდო ბურთი და ცაციით ისეთი მიაყოლა, რომ მეტოქის მეკარე იოჟეფ შელერი ვერას გახდა. ამ გოლმა და მთელმა შეხვედრამ ცხადჰყო, რომ ჟინოლა კვლავ ჩინებულ ფორმაშია და ამასწინდელივით, ზედიზედ ხუთ მატჩში აღარ შეცვლიან. „ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო თამაშთაგანი იყო" — თქვა ფრანგმა გარემარბმა.

ჟინოლას გოლი მეორე ტაიმის მეოცე წუთზე გავიდა, როდესაც ანგარიში უკვე 2:0 იყო. პირველი და მეორე კოლუმბიელმა ფაუსტინო ასპრილიამ გაიტანა 42-ე და 58-ე წუთებზე. მანამდე კი, მე-40-ზე პიტერ ბერდსლიმ პენალტი ააცილა. სულ ბოლოს, 90-ე წუთზე კი ლეს ფერდინანდმაც თქვა თავისი სიტყვა.

როტერდამის „ფეიენოორდმა" რონალდ კუმანისა და ჟან-პოლ ვან გასტელის გარეშე ბარსელონის „ესპანიოლთან" 0:1 წააგო. მე-9 წუთზე არტეგას მიერ 18 მეტრიდან დარტყმული ჰოლანდიელთა გუნდის ერთ-ერთ მცველს მოხვდა და რიკოშეტით ედ დე გუის კარში შევარდა. „ესპანიოლმა" სხვაც მრავალი სცადა, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში ნაკლებ ეფექტური იყო და შინ წაგებულ 0:3-ს ვერაფერი უშველა.

მასპინძლებს შეხვედრის სხვაგვარად დამთავრების საშუალების ხუთი კარგი მომენტი ჰქონდათ. სამი პირველ ნახევარში, ორიც მეორეში, მაგრამ ჰენკ ლარსონმა, პაბლო სანჩესმა, ჯოვან ბრონკჰორტმა პირველში, იმავე ლარსონმა და გასტონ ტაუმენტმა მეორეში ვერ ივარგეს.

მატჩის შემდეგ „ფეიენოორდის" მწვრთნელმა არი ჰაანმა თქვა: „ერთადერთი რითიც შეგვიძლია კმაყოფილები ვიყოთ, შემდეგ ეტაპზე გასვლაა. პირველი შეხვედრა სტუმრად კარგად ვითამაშეთ, შინ კი გაცილებით უარესნი ვიყავით."

ესპანეთის „ვალენსიამ", ბოლო რვა წელიწადში, ევროშეჯიბრების მესამე ეტაპს პირველად მიაღწია. ამას მათ პრაღის „სლავიასთან" შინ უგოლო თამაშით გამოკრეს ხელი. პირველ თამაშში ვალენსიელებს 1:0 ჰქონდათ მოგებული. შეხვედრის მთავარი ინტრიგა მათი მეკარის ანდონი სუბისარეტას გაძევება გამოდგა. ცნობილმა გოლკიპერმა საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა, რისთვისაც წითელი ბარათი მიიღო. ეს მეორე ტაიმის მეხუთე წუთზე მოხდა, რის შემდეგაც უმცირესობაში დარჩენილ მასპინძლებს დიდი ჯაფა დაადგათ.

ტრაპიზონში გერმანულმა „შალკემ" ჰოლანდიელი იოჰან დე კოკის ორი გოლით საერთო ანგარიში პირველსავე ტაიმში 3:0-მდე გაზარდა. თურქებმა წაგება იუკადრისეს. 55-ე წუთზე შოთა არველაძემ, 65-ე და 70-ზე ჰამიმ სამი შეყარეს, თუმცა საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე მარტინ მაქსის გოლმა, ამ თამაშში, წონასწორობა აღადგინა, ჯამურად კი 4:3 გახადა გერმანელთა სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ „ტრაბზონსფორში" სრული შემადგენლობით ითამაშა ქართულმა ლეგიონმა. სამივემ, შოთა და არჩილ არველაძეებმა და გიორგი ნემსაძემ „კარლსრუესთან" მატჩის ფრედ დამთავრებაში თავისი წვლილი შეიტანეს.

სხვა გერმანულ გუნდს, მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მონაკოში 1:0-ის მოგებამ ვერ უშველა. ორი მატჩის ჯამში ფრანგებმა 4:3 იძალეს. ერთადერთი გოლი მიხაელ კლინკერტმა გაიტანა.

„მონაკოს" შეტევაში დიდი ინიციატივა არ გამოუჩენია, უპირატესად მჭიდრო დაცვის აღმართვაში იყო გამეცადინებული. ერთადერთი აღნიშვნის ღირსი 44-ე წუთი იყო, როდესაც ბრაზილიელმა ანდერსონმა ნიგერიელ ვიქტორ იკპებას საუცხოო პასი მიაწოდა. იკპებამ მომენტი იხელთა და უვე კამპსის კარი დალაშქრა, მაგრამ ოფსაიდად განსაჯეს.

ბოლო წუთებში ფრანგებმა ანგარიშის გათანაბრება სცადეს, მაგრამ სტუმართა მეკარემ არ დაანება.

შოტლანდიის „აბერდინი" დანიაში „ბრონდბიუს" ესტუმრა, ძალ-ღონეც არ დაიშურა, მაგრამ 0:0 დაასრულა. პირველ შეხვედრაში დანიელებს 2:0 ჰქონდათ მოგებული. თავიდან შოტლანდიელებმა სცადეს კარისკენ ლაშქრობა, მაგრამ „ბრონდბიუმ" შემოტევას გაუძლო და მეტოქეს იქით გადასწვდა. „აბერდინის" გოლკიპერმა ნიკი უოქერმაც ისახელა თავი.




ნიუკასლელთა კოლუმბიელმა ფორვარდმა ფაუსტინო ასპრილიამ ორი გოლი გაიტანა ფერენცვაროშის კარში.

## ფეხბურთის რუკასთან



**შვეიცარიის** ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული, ახალგაზრდა მოთამაშე რაფაელ ვიკი „სიონში" თამაშობს და გუნდის წამყვან ფეხბურთელთა შორისაა. მისი შეძენა განიზრახა გერმანიის ბუნდესლიგის, ამჟამად მეექვსე ადგილზე მყოფმა „ვერდერმა". გერმანელებს 19 წლის მოთამაშე დაუყოვნებლივ სურთ, „სიონი" კი მის გაყიდვას არ ჩქარობს, რამეთუ საკუთარი ამოცანები აქვს გადასაჭრელი. როგორც შვეიცარიის სპორტული საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ამ ვაჭრობის შედეგი შესაძლოა კვირის ბოლოსთვის გახდეს ცნობილი.

**სამხრეთი აფრიკა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ზაირთან სათამაშოდ ემზადება. ამ შეხვედრისათვის მათ გამოიძახეს ევროპაში მოთამაშე რვა ფეხბურთელი. მათ შორის არიან იტალიის „ლაციოს" წევრი მარკ ფიში, ავსტრიაში დაბინავებული ბრენდენ ოგუსტაინი და ინგლისის პრემიერლიგის „ლიდს იუნაიტედის" მოთამაშე ლუკას რადებე. აფრიკელთა 23 კაციან განაცხადში ერთადერთი სიახლეა — ქვეყნის ახალდაარსებული პრემიერლიგის ახლანდელი ბომბარდირი, „კაიზერ ჩიფზის" თავდამსხმელი პოლენ ნდლაზია.**

**ჩრდილო ირლანდია** გერმანიასთან სათამაშოდ ემზადება. მეკარე ტომი რაიტი, რომელმაც მრავალრიცხოვან ტრავმათა გამო გასულ წელს ლამის დაანება ფეხბურთს თავი, ისევ ნაკრებშია. 33 წლის რაიტი, ნაკრებში, ბოლოს, ორი წლის წინ გამოჩნდა, როდესაც მექსიკის წინააღმდეგ ითამაშა. ეს მისი ოცდამეორე შეხვედრა იყო ეროვნულ გუნდში. მაშინ იგი „ნოტინგემ ფორესტში" გამოდიოდა, ახლა კი პირველი დივიზიონის „რედინგშია". როგორც თავად გოლკიპერმა განაცხადა, მას ოცნება აუხდა. ჩრდილო ირლანდიელთა მწვრთნელმა ბრაიან ჰამილტონმა რაიტის დარად დააბრუნა „სვინდონში" მოთამაშე კევინ ჰორლოკი, სამაგიეროდ „საუთჰემპტონის" ჯიმ მეჯილტონი და „ქოვენთრის" მაიკლ ონილი ნაკრებს მიღმა დარჩნენ, რადგან მწვრთნელის აზრით, წინა შეხვედრაში, სომხებთან მათ ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

**ბულგარეთის ნაკრებს, როგორც ჩანს, დაუბრუნდა ხრისტო სტოიჩკოვი. იგი 6 და 8 ნოემბერს დანიშნულ ამხანაგურ შეხვედრებზე საუდის არაბეთისა და ტაილანდის წინააღმდეგ, ხრისტო ბონევის მიერ მიწვეულ მოთამაშეთა სიაშია. მის გარდა გამოძახებულნი არიან უცხოეთში მოთამაშე სხვა ფეხბურთელებიც: „შტუტგარტის" კრასიმირ ბალაკოვი, „მარსელის" იორდან ლეჩკოვი და „რაპიდის" ტრიფონ ივანოვი.**

**ნიგერიელ** უჩე ოკეჩუკუს, რომელიც სტამბოლის „ფენერბაჰჩეში" თამაშობს, კვირას „ტრაბზონსფორის" კარში გატანილი გოლი სამუდამოდ დაამახსოვრდება, რადგან მასში 10 ათასი დოლარი მიიღო. მიზეზი ის გახლავთ, რომ ხსენებული გოლი კლუბის ისტორიაში 2000-ე გახლდათ. თანაც შესაძლოა ახლანდელი პასპორტით ეს მისი უკანასკნელი წარმატებაც იყო. საქმე ისაა, რომ უჩე და მისი თანამემამულე — თანაგუნდელი ავგუსტინ,იგივე ჯეი-ჯეი ოკოჩა თურქეთის მოქალაქეობის მიღებას აპირებენ. ახალი პასპორტით მათ აბდულქერიმ რაჰიმ უჩე და მუჰამედ იავუზ ოქაჩე ერქმევათ.

**თურქეთის კლუბმა „ალთაიმ" შეკრიბა ქვეყნის სპორტის ხელმძღვანელები და წამოჰყრა ბილეთების ქურდთა, სტადიონზე სკამების მტვრეველთა და სტადიონზე მომუშავე მეგობართა მიერ ტრიბუნაზე შეპარებულთა საკითხი. კლუბის პრეზიდენტმა ერდინ ალთინიელექლიოღლუმ განაცხადა, რომ ბოლო ტურის თამაშში „ალთაიმ" მილიარდობით ლირა (ათასობით დოლარი) იზარალა, რადგან თამაშს 60 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, ოფიციალურად კი სულ 36 663 ბილეთი გაიყიდა. სპორტის სამინისტროს იზმირელმა წარმომადგენელმა კი დაიჩივლა, რომ „გალათასარაის" მატჩის წინ 103 მილიონი ლირის (1 080 დოლარი) ბილეთები მოიპარეს. საზოგადოდ, მეგობრების და ნათესავების სტადიონზე უფასოდ შეყვანა, თურქეთში, უმაღლეს დონეზეც გავრცელებული სენა ყოფილა და არა მხოლოდ კაფისკაცთა დანაშაული.**

**ესპანეთის** „სევილიამ" განაცხადა, რომ წყვეტს არგენტინული „როსარიო სენტრალისთვის" ნახევარმცველ კრისტიან კოლუსოში ფულის გადახდას. აღმოჩნდა, რომ სატრანსფერო დოკუმენტებზე ხელმოწერები ყალბია. „სევილიას" ვიცე-პრეზიდენტმა ფრანსისკო ესკობარმა განაცხადა, რომ საქმის გარჩევამდე მისი კლუბი ცენტსაც არ გადაიხდის. მანვე აღნიშნა, რომ „სევილია" სასამართლოში იჩივლებს, მაგრამ ვის წინააღმდეგ, არ უთქვამს, ესკობარმა ეს გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც ყოველდღიურმა ABC-მ გამოაქვეყნა ორი კლუბის დოკუმენტები, რომლებშიც „როსარიო სენტრალის" ხელმძღვანელის ხელმოწერა სხვადასხვანაირია. გაურკვეველია აგრეთვე კოლუსოში გადასახდელი 1,7 მილიონი დოლარის გადარიცხვის წესიც.

**საფრანგეთის პირველი დივიზიონის „ლიონმა" გაათავისუფლა მწვრთნელი გი სტეფანი. მის ნაცვლად წარსულში ცნობილი მოთამაშე ლაკომბი დანიშნეს. სტეფანის გუშვება საბოლოოდ პარასკევს, „ოსერთან" 0:7 დამარცხების შემდეგ გადაწყდა. „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან-მიშელ აულამ განაცხადა, რომ ახლა კლუბს თავისი ძალა თავიდან აქვს დასამტკიცებელი და მას სწამს, რომ უეფაზე გამსვლელი ადგილის მოპოვება ჯერ კიდევ შესაძლებელია. ახალი მწვრთნელი ლაკომბი კი ფეხბურთელობას „ლიონში" გამოდიოდა, ხოლო ბოლო ხანს კლუბის სპორტული დირექტორი იყო.**

**გერმანელმა** 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა გვიდო ბუხვალდმა განაცხადა რომ იაპონიის „ურავა რედ დაიმონდიდან" შინ დაბრუნების შემდეგ თავის ყოფილ კლუბ „შტუტგარტში" აღარ მივა. ბუხვალდს იაპონიის ჯეი ლიგის კლუბთან კონტრაქტის ვადა 31 დეკემბერს გაუდის. იგი 35 წლისაა, მაგრამ მიუხედავად ასაკისა ბუნდესლიგის სამი გუნდი ეპატიჟება. ესენია „ზანქტ პაული", „ჰანზა" და „ბოხუმი". „შტუტგარტის" პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ვოლფვერდერი კი მატყუარა აღმოჩნდა. ათი დღის წინ შეპირდა ბუხვალდს (მდივნის პირით) დაგირეკავთო და დღემდე არ ჩანს.

**ინგლისის „ასტონ ვილას" გოლკიპერი, ავსტრალიელი მარკ ბოზნიჩი შაბათს „სანდერლენდთან" შეხვედრაში დაშავდა და ორშაბათს მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ექიმების თქმით იგი ერთ თვეს გაიცდენს. ბოზნიჩმა სეზონის პირველი და მეორე თვეც ტრავმათა გამო გააცდინა, ორი კვირის წინ კი „ტოტენჰემ ჰოთსპურის" ქომაგებს ჰიტლერივით მიესალმა, რისთვისაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ დასაჯა.**

**ესპანეთში** მე-10 ტურის ბოლო მატჩში „ვალიადოლიდმა" შინ წააგო „სევილიასთან". შეხვედრის ერთადერთი გოლი 59-ე წუთზე ონესიმო სანჩესმა გაიტანა.

**გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა ჩრდილო ირლანდიასთან თამაშის წინა შეკრებაზე 26 ფეხბურთელი გამოიძახა. მათ შორისაა „ლევერკუზენის" ულფ კირსტენი, რომელიც ბოლოხანს ვერ ხვდება ნაკრებში. ფოგტსს „კარლსრუეს" სამხრეთ აფრიკელი თავდამსხმელის შონ დენდის „გაგერმანელებაც" უნდოდა, მაგრამ მის განცხადებას გერმანიის მოქალაქეობის მიღებაზე, ჯერ პასუხი არ აქვს.**

**ესპანეთის** „სევილია" ინგლისის „ბლექბერნს" ბრაზილიელი ბებეტოს შესაძენად ყელში სწვდა. ორივეს სურს „ფლამენგოში" გადასული ვეტერანი ვარსკვლავის გადაბირება. სევილიელთა თქმით თავად ფეხბურთელს ესპანეთში დაბრუნება აქვს გულში ამოჭრილი.

**ინგლისში, „არსენალის" სტადიონ „ჰაიბრიდან" 20 მილის მოშორებით, კლუბის საწვრთნელ ბაზაზე ხანძარი გაჩნდა, რომელმაც ათასობით გირვანქის ნივთები დაფერფლა. ცეცხლი სარეცხ მანქანაში წარმოიშვა. საბედნიეროდ ხანძრის დროს ბაზაზე არავინ იყო და შესაბამისად არავინ დაშავებულა.**

**იტალიური** „ჯენოა" ამერიკის MLS-ის ერთ-ერთი გამოჩენილი ფეხბურთელის როი ლესიტერის ყიდვას აპირებს. ლესიტერმა „ტამპა ბეის" შემადგენლობაში 30 გოლი გაიტანა. იგი აშშ-ის ნაკრების წევრია. ფეხბურთელმა „ჯენოას" პრეზიდენტთან" ალდო სპინელისთან" შეხვედრის შემდეგ, სავარაუდო ერთწლიანი კონტრაქტის ყველა დეტალი იცის.

# Kappa „კაპა“ პარტნიორისგან მეგობრობას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში...

პერუჯაში იტალიისა და საქართველოს ნაკრებების თამაშამდე ორიოდ საათით ადრე სპორტული ტანსაცმლის უმძლავრეს იტალიურ ფირმას „კაპას“ საშინელი აქცია ჰქონდა ჩაფიქრებული. ჩვენი გუნდისთვის პოლიციის ძალით უნდა ჩამოერთმიათ სპორტული ფორმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კი შეხვედრიდან შემოსული თანხის კუთვნილ წილს მოუკვეთდნენ. ბუნებრივია, ამ ამბავს დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მთელს პლანეტას მოსდებდნენ და ყველა შეიტყობდა, რომ ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელებმა ცივილიზებული სამყაროს რესპექტაბელურ ფირმას პირი უტეხეს. სახელის გატეხვას კი, ნათქვამია, თავის გატეხვა გერჩივნოსო.

ეს ამბავი „კაპას“ საქართველოს მხარის მენეჯერისგან მაურიციო ბედინისგან შევიტყვეთ, რომელიც თბილისიდან გუშინ გაბრუნდა სამშობლოში.

„კაპას“ შემაძრწუნებელი აქცია არ შედგა. იგი ერთი გავლენიანი პიროვნების ჩარევამ შეაჩერა. ამ პოლიტიკური და ფინანსური ძალის მქონე ადამიანმა, რომლის ვინაობის გამხელა ბატონმა ბედინმა ამ ჯერზე მიზანშეუწონლად ჩათვალა, იტალიურ ფირმას სკანდალის ეპიცენტრის თბილისში გადმოტანა სთხოვა. ფირმამ მის სიტყვას ანგარიში გაუწია.

გავლენიანი პიროვნების მოტივი გასაგებია, მან საქმის დასავლურ პრესაში გახმაურებას არიდა ქართული მხარე. ერთი რომ, ჩვენი ქვეყნის იმიჯი იქ, ცივილიზებულ სამყაროში დიდი ხანი არაა, რაც გამოსწორების გზას შეუდგა. მეორეც, სკანდალს თურმე საქართველოსა და იტალიის სახელმწიფოებრივი დონის ურთიერთობაზე შეეძლო გავლენის მოხდენა.

ყოველივეს შესახებ საქმის კურსში ყოფილან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, საქართველოს ელჩი იტალიაში, ქვეყნის პარლამენტი, სპორტის დეპარტამენტი და სხვა უმაღლესი რანგის ოფიციალური პირნი.

„კაპას“ საქართველოს მხარის მენეჯერს კონფლიქტის არსის კიდევ ერთხელ ახსნა ვთხოვეთ.

| | ლოგრონიესი — ესტრემადურა | ბილბაო 0:6 ს<br>ვალიადოლიდი 0:1 შ | კომპოსტელა 1:1 შ<br>ტენერიფე 1:2 ს | 1,35 | 3,0 | 5,6 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | კომპოსტელა — რეალი | ესტრემადურა 1:1 ს<br>ბილბაო 1:1 შ | ტენერიფე 0:0 შ<br>სარაგოსა 2:1 ს | 4,7 | 3,1 | 1,4 | — | — | — | — | 3:3 | 1:2 | 1:1 | 1:1 | — | — |
| | ტენერიფე — სელტა | რეალი 0:0 ს<br>ესტრემადურა 2:1 შ | სარაგოსა 0:0 შ<br>სოსიედადი 2:1 ს | 1,3 | 3,0 | 6,5 | — | — | — | — | 1:0 | 2:2 | 3:0 | 2:3 | 0:0 | 0:1 |
| | სარაგოსა — დეპორტივო | სელტა 0:0 ს<br>რეალი 1:2 შ | სოსიედადი 1:0 შ<br>რასინგი 1:1 ს | 1,8 | 2,9 | 2,9 | — | — | — | — | 2:3 | 3:2 | 1:0 | 3:3 | 0:1 | 1:1 |
| | სოსიედადი — ერკულესი | დეპორტივო 0:1 ს<br>სელტა 1:2 შ | რასინგი 0:1 შ<br>ესპანიოლი 1:2 ს | 1,15 | 3,6 | 9,0 | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 | — | — | — | — | — | — |
| | რასინგი — ბეტისი | ერკულესი 1:0 ს<br>დეპორტივო 1:1 შ | ესპანიოლი 1:2 შ<br>ოვიედო 1:1 ს | 1,9 | 2,7 | 2,9 | — | — | — | — | 0:0 | 2:2 | 0:0 | 0:2 | — | — |
| | ესპანიოლი — რაიო ვალეკანო | ბეტისი 2:1 ს<br>ერკულესი 2:1 შ | ოვიედო 2:2 შ<br>ატლეტიკო 3:1 ს | 1,35 | 3,0 | 5,6 | — | — | — | — | 4:2 | 0:1 | — | — | — | — |
| | ატლეტიკო — ოვიედო | სპორტინგი 1:0 ს<br>რაიო ვალეკანო 1:3 შ | რაიო ვალეკანო 2:2 ს<br>ბეტისი 1:1 შ | 1,2 | 3,3 | 8,0 | — | — | — | — | 3:0 | 1:1 | 3:3 | 0:1 | 0:3 | 1:1 |

X ტური: სპორტინგი — ატლეტიკო 0:1, ბარსელონა — ვალენსია 3:2, ვალიადოლიდი — სევილია 0:1, ბილბაო — ლოგრონიესი 6:0, ესტრემადურა — კომპოსტელა 1:1, რეალი — ტენერიფე 0:0, სელტა — სარაგოსა 0:0, დეპორტივო — სოსიედადი 1:0, ერკულესი — რასინგი 0:1, ბეტისი — ესპანიოლი 1:2, რაიო ვალეკანო — ოვიედო 2:2

XII ტური: ბარსელონა — ატლეტიკო, ვალიადოლიდი — სპორტინგი, ბილბაო — ვალენსიი, ესტრემადურა — სევილია, რეალი — ლოგრონიესი, სელტა — კომპოსტელა, დეპორტივო — ტენერიფე, ერკულესი — სარაგოსა, ბეტისი — სოსიედადი, რაიო ვალეკანო — რასინგი, ოვიედო — ესპანიოლი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბარსელონა | 10 | 8 | 2 | 0 | 33:13 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 17:6 | 13 | 5 | 4 | 1 | 0 | 16:7 | 13 |
| 2. | რეალი | 10 | 6 | 4 | 0 | 21:8 | 22 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:1 | 13 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 9 |
| 3. | დეპორტივო | 10 | 6 | 4 | 0 | 16:5 | 22 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| 4. | ბეტისი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:8 | 18 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 7 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 11 |
| 5. | ვალიადოლიდი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:7 | 17 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:4 | 7 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| 6. | ვალენსია | 10 | 5 | 1 | 4 | 17:12 | 16 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:5 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| 7. | რასინგი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:13 | 16 | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 | 5 | 3 | 1 | 1 | 5:5 | 10 |
| 8. | ბილბაო | 10 | 4 | 3 | 3 | 18:15 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 14:7 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| 9. | ტენერიფე | 10 | 4 | 2 | 4 | 18:11 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 15:6 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| 10. | რაიო | 10 | 4 | 2 | 4 | 17:14 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | 4 |
| 11. | ესპანიოლი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:14 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| 12. | ატლეტიკო | 10 | 4 | 2 | 4 | 14:13 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| 13. | სოსიედადი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:14 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:11 | 6 |
| 14. | სელტა | 10 | 3 | 4 | 3 | 9:11 | 13 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| 15. | ოვიედო | 10 | 3 | 3 | 4 | 14:15 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| 16. | სპორტინგი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:15 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:11 | 7 |
| 17. | ლოგრონიესი | 10 | 3 | 1 | 6 | 7:24 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 2:7 | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:17 | 7 |
| 18. | კომპოსტელა | 10 | 2 | 3 | 5 | 10:23 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:12 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:11 | 5 |
| 19. | სარაგოსა | 10 | 1 | 5 | 4 | 12:17 | 8 | 5 | 0 | 3 | 2 | 8:11 | 3 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| 20. | სევილია | 10 | 2 | 2 | 6 | 5:10 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 1:6 | 3 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| 21. | ერკულესი | 10 | 1 | 1 | 8 | 5:20 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 | 5 | 0 | 0 | 5 | 2:14 | 0 |
| 22. | ესტრემადურა | 10 | 1 | 1 | 8 | 7:24 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:15 | 0 |

| № | პრიმერადივიზიონი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ატლეტიკო მადრიდი | | | 2:2 | | 0:2 | 3:0 | | | | | | | | 1:3 | | | | | 2:0 | | | |
| 2 | ბარსელონა | | | | | | | 2:1 | | 3:2 | | | 8:0 | | | | | | | | 3:2 | | 1:1 |
| 3 | ბეტისი სევილია | | | | 3:0 | 1:2 | | 1:2 | | | | | | | 3:0 | | 1:1 | | | | | | |
| 4 | ატლეტიკი ბილბაო | | | | | | | 2:2 | | | | | 6:0 | 0:2 | 3:2 | | | | | | 1:3 | | 2:0 |
| 5 | დეპორტივო ლა კორუნია | | | | | | 4:0 | 2:0 | | | | | | | 1:1 | | 1:1 | | | | 1:0 | | |
| 6 | ერკულესი ალიკანტე | | | 0:1 | | | | | 2:1 | | | | | 1:1 | | 0:1 | | | | 0:2 | | | |
| 7 | ესპანიოლი ბარსელონა | | | | | | 2:1 | | 5:1 | | 1:0 | | | | | | | | | 0:0 | | 2:3 | |
| 8 | ესტრემადურა | | | 0:3 | | | | | | | | 1:1 | | | | 1:2 | | 2:1 | | | | | |
| 9 | ვალენსია | 3:1 | | | | | | | | | | | 0:1 | | | | | | | | 0:1 | 2:1 | 2:1 |
| 10 | ვალიადოლიდი | | | | | | | | | | | 3:1 | | 0:1 | | 3:0 | | 1:1 | 0:1 | | | | |
| 11 | კომპოსტელა | 3:1 | 1:5 | | 1:1 | | | | | 0:3 | | | 1:2 | | | | | | | | | | |
| 12 | ლოგრონიესი | 0:3 | | | | | | | | | | | | | | | | | 2:0 | | | 0:2 | 0:1 |
| 13 | ოვიედო | | 2:4 | 1:1 | 2:0 | 0:1 | | | | | | | | | | | 2:3 | | | | | | |
| 14 | რაიო ვალეკანო მადრიდი | | | | | | 2:1 | | 3:0 | | 1:2 | | | 2:2 | | | | | | 3:0 | | | |
| 15 | რასინგი სანტანდერი | | 1:1 | | 1:2 | 1:1 | | | | 3:2 | | | | | | | 2:2 | | | | | | |
| 16 | რეალი მადრიდი | | | | | | 3:0 | 2:0 | | | | | | | 1:0 | | | | | | 6:1 | | 0:0 |
| 17 | სარაგოსა | | 3:5 | | 1:1 | | | | | 1:1 | | | 2:2 | | | | 1:2 | | | | | | |
| 18 | სევილია | 0:0 | 0:1 | | | | | | | 0:2 | | 0:1 | | | | | | 1:2 | | | | | |
| 19 | სელტა ვიგო | | | 0:2 | | 1:1 | | | | | | | | 3:1 | | 1:1 | | 0:0 | | | | | |
| 20 | სოსიედადი სან სებასტიანი | | | | | | | | 3:0 | | 0:0 | | | | | | | | 1:0 | 1:2 | | 1:1 | |
| 21 | სპორტინგი ხიხონი | 0:1 | | | | | | | | | | 1:1 | | | | 0:1 | | 2:0 | 1:1 | | | | |
| 22 | ტენერიფე | | | | | | | | 2:1 | | 1:3 | 6:0 | | | | | | | 0:2 | | | 6:0 | |

# პორტუგალიის ჩემპიონატი. IX ტური. (03.11)

| თარიღი | წყვილი (ბოლო ორი მატჩი) | ძირითადი დრო | | | ჰანდიკაპი | | | | 95-96 | | 94-95 | | 93-94 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.11 | ბენფიკა — ბოავიშტა<br>სპორტინგი 0:1 ს — გიმარაეში 2:2 შ<br>ამადორა 2:0 შ — პორტუ 0:1 ს | 1,15 | 3,6 | 9,0 | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 | 1:1 | 3:1 | 4:1 | 3:1 | 3:1 | 0:1 |
| | ბრაგა — სპორტინგი<br>ამადორა 1:3 ს — ბენფიკა 1:0 შ<br>სალგეირუში 0:0 შ — გიმარაეში 1:0 ს | 5,0 | 3,0 | 1,4 | — | — | — | — | 1:3 | 1:0 | 0:2 | 1:3 | 1:1 | 0:2 |
| | გიმარაეში — ესპინიუ<br>ბოავიშტა 2:2 ს — პორტუ 0:5 შ<br>სპორტინგი 0:1 შ — ლეცა 1:1 ს | 1,5 | 2,8 | 4,4 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ჟილ ვისენტე — ამადორა<br>სალგეირუში 2:3 ს — ბრაგა 3:1 შ<br>შავეში 3:0 შ — ბენფიკა 0:2 ს | 1,9 | 2,8 | 2,8 | — | — | — | — | 0:1 | 1:3 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 0:3 |
| | პორტუ — ფარენსე<br>ესპინიუ 5:0 ს — ლეცა 0:0 შ<br>ბოავიშტა 1:0 შ — მარიტიმუ 0:1 ს | 1,15 | 3,6 | 9,0 | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 | 2:0 | 2:0 | 2:0 | 3:0 | 1:0 | 0:1 |
| | სეტუბალი — სალგეირუში<br>შავეში 1:0 ს — ჟილ ვისენტე 3:2 შ<br>ლეირია 4:1 შ — ბრაგა 0:0 ს | 1,3 | 3,0 | 6,5 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ლეცა — რიუ ავე<br>ფარენსე 0:0 ს — მარიტიმუ 2:3 შ<br>ესპინიუ 1:1 შ — ბელენენსეში 1:2 ს | 1,2 | 3,3 | 8,0 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| | ლეირია — შავეში<br>ბელენენსეში 3:1 შ — სეტუბალი 0:1 შ<br>სეტუბალი 1:4 ს — ჟილ ვისენტე 0:3 ს | 1,5 | 2,7 | 4,7 | — | — | — | — | 4:1 | 1:0 | 1:0 | 1:1 | — | — |
| | ბელენენსეში — მარიტიმუ<br>ლეირია 1:3 ს — რიუ ავე 3:2 ს<br>რიუ ავე 2:1 შ — ფარენსე 1:0 შ | 1,7 | 2,8 | 3,3 | — | — | — | — | 4:1 | 2:1 | 1:0 | 0:3 | 2:1 | 2:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII ტური: ლეირია — ბელენენსეში 3:1
შავეში — სეტუბალი 0:1
რიუ ავე — მარიტიმუ 2:3
სალგეირუში — ჟილ ვისენტე 3:2
ფარენსე — ლეცა 0:0
ამადორა — ბრაგა 3:1
ესპინიუ — პორტუ 0:5
სპორტინგი — ბენფიკა 1:0
ბოავიშტა — გიმარაეში 2:2

X ტური: მარიტიმუ — ლეცა
შავეში — ბელენენსეში
რიუ ავე — პორტუ
სალგეირუში — ლეირია
ფარენსე — გიმარეში
ამადორა — სეტუბალი
ესპინიუ — ბენფიკა
სპორტინგი — ჟილ ვისენტე
ბოავიშტა — ბრაგა

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | პორტუ | 8 | 6 | 2 | 0 | 15:2 | 20 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 12 |
| 2. | ბენფიკა | 8 | 6 | 1 | 1 | 17:3 | 19 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:2 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 9 |
| 3. | სპორტინგი | 8 | 6 | 1 | 1 | 13:5 | 19 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 7 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:4 | 12 |
| 4. | სეტუბალი | 8 | 4 | 3 | 1 | 15:9 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:2 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:7 | 5 |
| 5. | ფარენსე | 8 | 4 | 2 | 2 | 7:4 | 14 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| 6. | ესპინიუ | 8 | 4 | 2 | 2 | 9:9 | 14 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:8 | 6 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| 7. | ბრაგა | 8 | 3 | 3 | 2 | 13:12 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:10 | 2 |
| 8. | მარიტიმუ | 8 | 3 | 3 | 2 | 11:11 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:5 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| 9. | ამადორა | 8 | 3 | 2 | 3 | 6:6 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | 1 |
| 10. | ლეცა | 8 | 2 | 3 | 3 | 7:5 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 0:2 | 2 |
| 11. | ბოავიშტა | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| 12. | სალგეირუში | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| 13. | გიმარაეში | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 8:5 | 6 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |
| 14. | შავეში | 8 | 2 | 2 | 4 | 9:14 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | 1 |
| 15. | ბელენენსეში | 8 | 2 | 1 | 5 | 9:16 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:9 | 3 |
| 16. | ლეირია | 8 | 2 | 0 | 6 | 6:17 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | 0 |
| 17. | ჟილ ვისენტე | 8 | 1 | 1 | 6 | 9:18 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 | 4 | 0 | 0 | 4 | 5:13 | 0 |
| 18. | რიუ ავე | 8 | 0 | 2 | 6 | 8:17 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | 1 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:6 | 1 |

| № | პირველი დივიზიონი 1996-97 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესტრელა ამადორა | | | | | 3:1 | 2:0 | | | 1:0 | | | | 0:0 | | | | | |
| 2 | ბენფიკა ლისაბონი | 2:0 | | | | 1:1 | | | | | | | | | | 5:1 | | | 3:0 |
| 3 | ბელენენსეში ლისაბონი | | | | 2:4 | | | 0:0 | | | | | | 2:1 | | | | 1:2 | |
| 4 | ბოავიშტა პორტუ | | | | | | 2:2 | 0:2 | | 0:0 | | | | 2:0 | | | | | |
| 5 | სპორტინგი ბრაგა | | | 3:1 | | | | | 1:0 | | | | 4:1 | | 0:0 | | | | |
| 6 | ვიტორია გიმარაეში | | | | | | | | 3:0 | | | | 4:2 | | 1:2 | | 0:1 | | |
| 7 | ესპინიუ | | | | | | | | | | 1:0 | 0:5 | | | | | 1:3 | 1:0 | |
| 8 | უნიაუ ლეირია | | 0:2 | 3:1 | | | | | | | | 0:3 | 2:0 | | | | | | |
| 9 | ლეცა | | | | | | | 1:1 | 3:0 | | | | | | 3:1 | | 0:1 | | |
| 10 | მარიტიმუ ფუნშალი | 2:0 | | | 2:2 | | | | | | | | | | | | | 1:0 | 3:3 |
| 11 | პორტუ | 0:0 | | | 1:0 | | | | | | | | | | | 2:2 | | | 2:0 |
| 12 | ჟილ ვისენტე | | 0:3 | 1:2 | | | | | | | | | | | | 0:0 | | | 3:0 |
| 13 | რიუ ავე | | | | | | | 0:3 | | | 2:3 | | | | 1:1 | | 3:4 | | |
| 14 | სალგეირუში პორტუ | | 0:1 | | | | | | | | 0:0 | 0:1 | 3:2 | | | | | | |
| 15 | ვიტორია სეტუბალი | | | 2:0 | | 1:1 | 4:0 | | 4:1 | | | | | | | | | | |
| 16 | სპორტინგი ლისაბონი | | 1:0 | | | | | | | | 3:0 | 0:1 | | | | | | 0:0 | |
| 17 | ფარენსე | 1:0 | | | 2:0 | | | | | 0:0 | | | | 2:1 | | | | | |
| 18 | შავეში | | | | | 5:2 | 0:0 | | | 1:0 | | | | | | 0:1 | | | |

## გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.XI | კარლ ცაისი — ურდინგენი | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| 2.XI | კიკერსი — მაინცი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| | აინტრახტი — ლაიპციგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| | ფორტუნა — ოლდენბურგი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| 3.XI | ცვიკაუ — როტ ვაისი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| | ლიუბეკი — კაიზერსლაუტერნი | 6,0 | 3,1 | 1,3 |
| | უნტერჰახინგი — ვოლფსბურგი | 1,6 | 2,6 | 4,2 |
| | მეპენი — ჰერტა | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| | მანჰაიმი — გიუტერსლო | 1,45 | 3,0 | 4,4 |

XII ტური: როტ ვაისი — ლიუბეკი 2:0, ჰერტა — აინტრახტი 1:2, ურდინგენი — კიკერსი 3:1, კარლ ცაისი — ფორტუნა 1:1, კაიზერსლაუტერნი — ოლდენბურგი 6:2, ვოლფსბურგი — მეპენი 3:1, გიუტერსლო — ცვიკაუ 3:1, მაინცი — უნტერჰახინგი 0:0, ლაიპციგი — მანჰაიმი 6:1

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერსლაუტერნი | 12 | 6 | 6 | 0 | 20-6 | 24 | 3 | 3 | 0 | 11-3 | 3 | 3 | 0 | 9-3 |
| ვოლფსბურგი | 12 | 5 | 6 | 1 | 16-7 | 21 | 2 | 4 | 0 | 8-3 | 3 | 2 | 1 | 8-4 |
| ურდინგენი | 12 | 6 | 2 | 4 | 19-12 | 20 | 3 | 1 | 2 | 12-5 | 3 | 1 | 2 | 7-7 |
| მაინცი | 12 | 4 | 6 | 2 | 19-14 | 18 | 3 | 3 | 0 | 10-5 | 1 | 3 | 2 | 9-9 |
| კიკერსი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-14 | 18 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 3 | 2 | 1 | 9-5 |
| ლაიპციგი | 12 | 5 | 3 | 4 | 23-21 | 18 | 3 | 2 | 1 | 14-7 | 2 | 1 | 3 | 9-14 |
| ფორტუნა | 12 | 4 | 5 | 3 | 19-14 | 17 | 3 | 2 | 1 | 10-4 | 1 | 3 | 2 | 9-10 |
| კარლ ცაისი | 12 | 4 | 5 | 3 | 14-13 | 17 | 3 | 3 | 0 | 12-5 | 1 | 2 | 3 | 2-8 |
| გიუტერსლო | 12 | 5 | 2 | 5 | 13-17 | 17 | 3 | 2 | 1 | 7-4 | 2 | 0 | 4 | 6-13 |
| უნტერჰახინგი | 12 | 2 | 10 | 0 | 9-7 | 16 | 2 | 4 | 0 | 6-4 | 0 | 6 | 0 | 3-3 |
| აინტრახტი | 12 | 4 | 4 | 4 | 15-14 | 16 | 2 | 1 | 3 | 6-6 | 1 | 2 | 2 | 6-7 |
| მეპენი | 12 | 3 | 7 | 2 | 13-14 | 16 | 2 | 3 | 1 | 9-9 | 1 | 4 | 1 | 4-5 |
| ჰერტა | 11 | 4 | 3 | 4 | 17-13 | 15 | 3 | 1 | 1 | 11-6 | 1 | 2 | 3 | 6-7 |
| მანჰაიმი | 12 | 2 | 5 | 6 | 18-25 | 11 | 2 | 3 | 1 | 13-9 | 0 | 2 | 4 | 5-16 |
| როტ ვაისი | 12 | 3 | 1 | 8 | 17-30 | 10 | 2 | 0 | 4 | 8-12 | 1 | 1 | 4 | 9-18 |
| ლიუბეკი | 12 | 2 | 4 | 6 | 8-21 | 10 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 1 | 2 | 3 | 3-11 |
| ცვიკაუ | 12 | 2 | 3 | 7 | 11-16 | 9 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 0 | 1 | 5 | 5-11 |
| ოლდენბურგი | 11 | 2 | 3 | 6 | 14-24 | 9 | 2 | 2 | 2 | 10-10 | 0 | 1 | 4 | 4-14 |

## რუსეთი. 34-ე ტური

3 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორპედო — დინამო | 4,2 | 3,1 | 1,45 |
| როსტსელმაში — კამაზი | 3,4 | 3,6 | 1,45 |
| ზენიტი — სპარტაკი | 5,6 | 4,0 | 1,2 |
| ჟემჩუჟინა — კრ. სოვეტოვი | 1,2 | 3,8 | 6,0 |
| ალანია — ლოკომოტივი (ნნ) | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,0 |
| ბალტიკა — ტექსტილშჩიკი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ჩერნომორეცი — ლადა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| ლოკომოტივი (მ) — ცსკა | 3,6 | 3,2 | 1,5 |
| როტორი — ურალმაში | 1,2 | 3,8 | 6,0 |

## შოტლანდია. მე-11 ტური

2 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — აბერდინი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ჰართსი — დანფერმლაინი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| კილმარნოკი — ჰიბერნიანი | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| მოზერველი — დანდი იუნაიტედი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| რეით როვერსი — რეინჯერსი | 9,0 | 4,2 | 1,1 |

## ინგლისი. I დივიზიონი. XVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.XI | ბოლტონი — ჰადერსფილდი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| | ბრედფორდი — ოლდემი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| | გრიმსბი — შეფილდი | 3,4 | 3,0 | 1,6 |
| | ნორვიჩი — ჩარლტონი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| | ოქსფორდი — იფსვიჩი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| | პორტ ვეილი — ბირმინგემი | 1,6 | 2,9 | 3,6 |
| | პორტსმუთი — ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 2,7 | 3,4 |
| | ქუინზ პარკი — სტოკ სიტი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| | საუთენდი — რედინგი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| | სვინდონი — სიტი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| | ტრანმერი — კრიზტალ პალასი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| | ვულვერჰემპტონი — ბარნსლი | 1,7 | 2,6 | 3,6 |

XVI ტური: ბოლტონი — რედინგი 2:1, ბრედფორდი — კრისტალ პალასი 0:4, გრიმსბი — ოლდემი 0:3, ნორვიჩი — შეფილდ იუნაიტედი : , ოქსფორდი — სტოკ სიტი 4:1, პორტ ვეილი — ბარნსლი 1:3, პორტსმუთი — ბირმინგემი 1:1, ქუინზ პარკი — იფსვიჩი : , საუთენდი — სიტი 2:3, სვინდონი — ვესტ ბრომვიჩი : , ტრანმერი — ჩარლტონი 4:0, ვულვერჰემპტონი — ჰადერსფილდი :

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 15 | 10 | 4 | 1 | 35-20 | 34 | 7 | 1 | 0 | 19-5 | 3 | 3 | 1 | 16-15 |
| ნორვიჩი | 14 | 9 | 3 | 2 | 23-11 | 30 | 4 | 3 | 0 | 10-3 | 5 | 0 | 2 | 13-8 |
| კრ. პალასი | 15 | 7 | 6 | 2 | 33-12 | 27 | 4 | 2 | 1 | 16-5 | 3 | 4 | 1 | 16-7 |
| ბარნსლი | 14 | 7 | 5 | 2 | 24-15 | 26 | 3 | 3 | 2 | 13-9 | 4 | 2 | 0 | 11-6 |
| ვულვზი | 15 | 7 | 3 | 5 | 19-14 | 24 | 2 | 1 | 4 | 5-7 | 5 | 2 | 1 | 14-7 |
| ტრანმერი | 16 | 7 | 4 | 5 | 24-17 | 22 | 5 | 1 | 2 | 18-11 | 2 | 3 | 3 | 6-6 |
| სტოკ სიტი | 14 | 6 | 4 | 4 | 21-25 | 22 | 4 | 1 | 1 | 11-10 | 2 | 3 | 3 | 10-15 |
| შეფილდი | 12 | 6 | 3 | 3 | 24-13 | 21 | 3 | 3 | 1 | 14-8 | 3 | 0 | 2 | 10-5 |
| ქუინზ პარკი | 15 | 5 | 6 | 4 | 19-19 | 21 | 2 | 2 | 3 | 8-10 | 3 | 4 | 1 | 11-9 |
| სვინდონი | 14 | 6 | 2 | 6 | 20-16 | 20 | 4 | 1 | 2 | 12-5 | 2 | 1 | 4 | 8-11 |
| ოქსფორდი | 15 | 5 | 4 | 6 | 17-12 | 19 | 4 | 2 | 1 | 14-3 | 1 | 2 | 5 | 3-9 |
| სიტი | 14 | 6 | 1 | 7 | 16-19 | 19 | 4 | 0 | 2 | 7-5 | 2 | 1 | 5 | 9-14 |
| პორტ ვეილი | 16 | 4 | 7 | 5 | 13-19 | 19 | 1 | 4 | 3 | 7-11 | 3 | 3 | 2 | 6-8 |
| ჰადერსფილდი | 13 | 5 | 3 | 5 | 17-19 | 18 | 4 | 2 | 1 | 10-4 | 1 | 1 | 4 | 7-15 |
| რედინგი | 15 | 5 | 3 | 7 | 18-25 | 18 | 4 | 2 | 1 | 11-9 | 1 | 1 | 6 | 7-16 |
| ბირმინგემი | 13 | 4 | 5 | 4 | 15-14 | 17 | 4 | 2 | 1 | 10-4 | 0 | 3 | 3 | 5-10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 13 | 3 | 7 | 3 | 15-16 | 16 | 1 | 3 | 3 | 7-11 | 2 | 4 | 0 | 8-5 |
| პორტსმუთი | 16 | 4 | 4 | 8 | 16-24 | 16 | 2 | 3 | 3 | 8-9 | 2 | 1 | 5 | 8-15 |
| საუთენდი | 16 | 3 | 7 | 6 | 15-26 | 16 | 3 | 3 | 2 | 14-12 | 0 | 4 | 4 | 1-14 |
| იფსვიჩი | 14 | 3 | 6 | 5 | 18-20 | 15 | 2 | 3 | 2 | 11-11 | 1 | 3 | 3 | 7-9 |
| ჩარლტონი | 13 | 4 | 2 | 7 | 12-20 | 14 | 4 | 2 | 0 | 10-4 | 0 | 0 | 7 | 2-16 |
| ბრედფორდი | 16 | 3 | 4 | 9 | 11-26 | 13 | 3 | 2 | 3 | 10-14 | 0 | 2 | 6 | 1-12 |
| გრიმსბი | 16 | 3 | 4 | 9 | 16-32 | 13 | 2 | 1 | 5 | 7-15 | 1 | 3 | 4 | 9-17 |
| ოლდემი | 16 | 2 | 5 | 9 | 16-23 | 11 | 1 | 4 | 3 | 9-10 | 1 | 1 | 6 | 7-13 |

## იტალია. სერია B. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.XI | ბრეშია — კრემონეზე | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| | ჩეზენა — დი სანგრო | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| | ემპოლი — ლუკეზე | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| | ფოჯა — პალერმო | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| | ლეჩე — ბარი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| | პადოვა — ტორინო | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| | პესკარა — კიევო | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| | რეჯინა — რავენა | 3,2 | 2,6 | 1,8 |
| | სალერნიტანა — კოზენცა | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| | ვენეცია — ჯენოა | 2,0 | 2,7 | 2,7 |

VIII ტური: ბარი — ემპოლი 5:0, დი სანგრო — პადოვა 0:0, ჩეზენა — ვენეცია 1:1, კიევო — ბრეშია 0:1, პალერმო — რავენა 2:0, კოზენცა — რეჯინა 0:0, კრემონეზე — ლეჩე 0:1, ჯენოა — სალერნიტანა 1:1, ლუკეზე — ფოჯა 1:0, ტორინო — პესკარა 0:1

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 8 | 7 | 0 | 1 | 14-5 | 21 | 4 | 0 | 0 | 10-2 | 3 | 0 | 1 | 4-3 |
| პესკარა | 8 | 5 | 3 | 0 | 13-5 | 18 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 2 | 2 | 0 | 5-3 |
| პადოვა | 8 | 4 | 3 | 1 | 9-5 | 15 | 4 | 0 | 0 | 8-1 | 0 | 3 | 1 | 1-4 |
| ბარი | 8 | 3 | 4 | 1 | 14-7 | 13 | 2 | 2 | 0 | 10-3 | 1 | 2 | 1 | 4-4 |
| ლუკეზე | 8 | 3 | 3 | 2 | 7-3 | 12 | 3 | 1 | 0 | 6-0 | 0 | 2 | 2 | 1-3 |
| ტორინო | 8 | 3 | 3 | 2 | 8-7 | 12 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 0 | 2 | 1 | 1-3 |
| ჯენოა | 8 | 2 | 5 | 1 | 9-5 | 11 | 2 | 3 | 0 | 7-2 | 0 | 2 | 1 | 2-3 |
| რავენა | 8 | 3 | 2 | 3 | 8-8 | 11 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 2 | 0 | 2 | 4-4 |
| ბრეშია | 8 | 2 | 5 | 1 | 6-6 | 11 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 1 | 2 | 1 | 3-4 |
| სალერნიტანა | 8 | 3 | 2 | 3 | 5-7 | 11 | 3 | 1 | 0 | 4-0 | 0 | 1 | 3 | 1-7 |
| ემპოლი | 8 | 3 | 2 | 3 | 7-10 | 11 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 1 | 1 | 3 | 2-9 |
| კიევო | 8 | 2 | 4 | 2 | 7-7 | 10 | 2 | 1 | 1 | 3-1 | 0 | 3 | 1 | 4-6 |
| ფოჯა | 8 | 3 | 1 | 4 | 7-10 | 10 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 0 | 0 | 4 | 1-9 |
| პალერმო | 8 | 2 | 3 | 3 | 7-9 | 9 | 2 | 1 | 1 | 5-1 | 0 | 2 | 2 | 2-8 |
| ჩეზენა | 8 | 1 | 5 | 2 | 7-7 | 8 | 1 | 3 | 0 | 6-4 | 0 | 2 | 2 | 1-3 |
| დი სანგრო | 8 | 2 | 2 | 4 | 4-10 | 8 | 2 | 1 | 1 | 3-2 | 0 | 1 | 3 | 1-8 |
| ვენეცია | 8 | 1 | 3 | 4 | 8-11 | 6 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 0 | 2 | 3 | 4-8 |
| კოზენცა | 8 | 1 | 3 | 4 | 4-10 | 6 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 0 | 0 | 4 | 1-8 |
| რეჯინა | 8 | 0 | 4 | 4 | 6-12 | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 0 | 2 | 2 | 2-6 |
| კრემონეზე | 8 | 1 | 1 | 6 | 2-8 | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 0 | 0 | 4 | 0-5 |

## სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატებიდან

1 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — ვიტესი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ბეშიქთაში — ალთაი | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,0 |

2 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონსფორი — სარიერისფორი | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,0 |
| ქოჩაელისფორი — ფენერბაჰჩე | 5,0 | 3,0 | 1,4 |
| ბრედა — სპარტა | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| ალკმაარი — ჰერენვენი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| როდა — გრააფსხაპი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| ანდერლეხტი — მოლენბეკი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| ანტვერპენი — გენკი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ლოკერენი — მეხელენი | 1,4 | 2,8 | 5,6 |

3 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბურსასფორი — გენჩლერბირლიგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| გალათასარაი — ისტანბულსფორი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| უტრეხტი — ნაიმეგენი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ვოლენდამი — ვალვაიკი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ტილბურგი — აიაქსი | 6,5 | 3,6 | 1,2 |
| ტვენტე — ეინდჰოვენი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| გრონინგენი — ფეიენოორდი | 6,5 | 3,3 | 1,25 |
| მუსკრონი — ბრიუგე | 2,8 | 2,8 | 1,9 |
| სერკლ ბრიუგე — სტანდარდი | 6,5 | 3,6 | 1,2 |
| არაუ — ლუცერნი | 1,4 | 2,8 | 5,6 |
| ქსამაქსი — ციურიხი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| სიონი — იანგ ბოიზი | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| გრასჰოპერი — ბაზელი | 1,2 | 3,3 | 8,0 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| გერმანია (XIII ტური) | 25 და ნაკლები - 1,9 | 27 და მეტი 1,9 |
| ინგლისი (XII ტური) | 25 და ნაკლები - 1,9 | 27 და მეტი 1,9 |
| საფრანგეთი (XV ტური) | 22 და ნაკლები - 1,9 | 24 და მეტი 1,9 |
| იტალია (VIII ტური) | 22 და ნაკლები - 1,9 | 24 და მეტი 1,9 |
| ესპანეთი (XI ტური) | 28 და ნაკლები - 1,9 | 30 და მეტი 1,9 |

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
**საქართველო — სლოვაკეთი 91:71 (48:41)**
თბილისი. სპორტის სასახლე. 30 ოქტომბერი. 7 000 მაყურებელი
მსაჯები: იოჟეფ ჰარშვანი (უნგრეთი), ლეშეკ რაკოცი (პოლონეთი).

| საქართველო | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ. | საჯარიმო: სულ | საჯარიმო: ჩაგდება | ფოლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 უსტიაშვილი | 9 | — | 7 | 1 | — | — | — | 1 |
| 15 ჩხეიძე | 6 | 1 | 2 | 2 | — | — | — | 3 |
| 7 სანაძე | 7 | 4 | — | 1 | — | 2 | 2 | 4 |
| 10 ნაცვლიშვილი | 20 | 3 | — | 2 | — | 6 | 4 | 5 |
| 6 სტეფანია | 22 | 9 | — | 4 | — | 4 | 2 | 3 |
| 12 ქარაბაკი | 16 | 6 | 1 | 1 | — | 6 | 5 | 5 |
| 11 შენგელია | 2 | — | — | — | — | — | — | 2 |
| 13 დადიანი | 1 | 1 | 2 | — | — | 2 | 1 | 5 |
| 4 ქლენტი | 2 | — | — | — | — | 2 | 2 | 2 |
| 14 ბერძენიშვილი | 6 | 1 | — | — | — | — | — | — |
| სულ | 91 | 25 | 12 | 11 | — | 22 | 16 | 30 |

| სლოვაკეთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ. | საჯარიმო: სულ | საჯარიმო: ჩაგდება | ფოლი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 ორგლერი | 2 | 1 | 2 | — | — | — | — | 2 |
| 8 უპნიაკი | 18 | 1 | — | 1 | — | 2 | 1 | 4 |
| 15 ლოვიკი | 16 | 2 | 2 | 1 | — | 4 | 4 | 3 |
| 13 მიჩუდა | 9 | 5 | 2 | — | — | 4 | 3 | 4 |
| 11 მატიცკი | 4 | 2 | — | 1 | — | 2 | 2 | 4 |
| 4 ფაიტი | 8 | 1 | — | 1 | — | 4 | 4 | 3 |
| 5 დრობნი | 7 | 2 | 2 | 1 | — | 4 | 4 | — |
| 7 ხვიტეკი | 2 | — | — | — | — | 2 | 2 | — |
| 10 ონდრუშკა | 5 | — | — | — | 1 | 3 | 2 | — |
| 12 ჩერნიცკი | — | 1 | — | — | — | — | — | — |
| სულ | 71 | 15 | 8 | 5 | 1 | 25 | 22 | 20 |

# მარშანაც უნდა მოვიგებთ

სლოვაკეთი კი შეტევისას უფრო ავანტიურას მიმართავდა. მას ერთადერთი გამოსავალი დარჩენოდა და სწორად იმას მიქალა — სამქულიანებს. ლოვიკს ერთხელ გაუმართლა, ხოლო უპნიაკმა რაგბისთვის დამახასიათებელი ფინტით ჩამოიცილა მეურვე და მიზანს მიაღწია. დანარჩენი შორი სროლები გაცუდდა და ბურთები სტეფანიას ან ქარაბაკის საკბილო ხდებოდა.

საქართველოს ერთხანს ისეთი ხუთეული ჰყავდა მოედანზე, რომელთაგანაც სტაბილური მსროლელი არავინაა. რამდენიმე შეცვლის შემდეგ ასეთებიც გამოჩნდნენ — სანაძემ და ქარაბაკმა სამქულიანები ჩააგდეს. ამ მხრივ კი ყველაზე მეტად უსტიაშვილმა გამოიჩინა თავი. დათო მაინცდამაინც არ არის შორი სროლების მოყვარული, მაგრამ ამ მატჩში ოთხი ცდიდან საჯერ მიაღწია მიზანს. ძირითადად, სტეფანიას დახმარებით — ვოვა გაუკეთებლ ბლოკს უკეთებდა უსტის მეურვეს და ჩვენი გამთამაშებელი, ფაქტიურად, ცარიელი რჩებოდა. სამაგიეროდ, ბევრი ჯარიმები დაგვიგროვდა — მეშვიდე წუთისთვის მარტო შეტევაში ოთხჯერ დაგვაჯარიმეს, ხოლო ნაცვლიშვილს ტაიმის ბოლოს ოთხი პერსონალური ჰქონდა (სამი — შეტევაში).

ტაიმის დამთავრებამდე 8,49 წუთით ადრე პირველი მატჩის სიმბოლური ცხრაქულიანი დეფიციტი გავაბათილეთ (თუმცა, პრაქტიკულად ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა) — სანაძემ ორი სამქულიანი ჩააგდო და 29:20 დავწინაურდით. ამის მერე უპირატესობა გავზარდეთ და თან, თამაშიც უფრო კარგად წაგვივიდა. თითქოს მომწიფდა ის მომენტი, როცა მეტოქისთვის გადამწყვეტი დარტყმა უნდა მიგვეყენებინა, გაგვეტეხა და საქმე პირველსავე ტაიმში საბოლოოდ მოგვეთავებინა. 39:26 ვიგებდით, სროლა გაგვიცუდდა, მაგრამ ბურთს ფაქტიურად დაუფლებული სანაძე დაჯარიმდა. დადიანმა მსაჯის სადაო სასტვენზე პროტესტი შეძახილით გამოხატა, რისთვისაც მყისვე მიიღო ტექნიკური ჯარიმა. დრობნი ხაზზე დადგა და ოთხივე ბურთი ჩააგდო. მომდევნო შეტევაში კი უპნიაკმა სამქულიანით ანგარიშის სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა. ჩვენებმა ეს არ შეიმჩნიეს და ინიციატივა დაიბრუნეს, ოღონდ ტაიმის ბოლო წამებზე, როცა დასკვნით შეტევას ვამზადებდით, ბურთი დაიკარგა და სლოვაკებმა იქით ჩასაგდები აქეთ ჩაგვიგდეს.

თამაშის ძირითადი სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. კვლავ წინ ვიყავით და მეტოქეს დაახლოვების შანსს არ ვაძლევდით. დასაწყისში სლოვაკეთმა მძიმე ხუთეული გამოიყვანა, რამაც წყალი ჩვენს წისქვილზე დაასხა — ფეხმარდი ქართველები კი იოლად უსხლტებოდნენ მეტოქეს და ქულას ქულაზე აგროვებდნენ. ჩვენი დაცვა ბრწყინავდაო, ვერ იტყოდი, მაგრამ იმდენს კი ახერხებდა, რომ სტუმრები საკმარისად შეებოჭა, განსაკუთრებით ფარზე. სლოვაკებს იმედად კვლავ სამქულიანები დარჩათ. დიდად ვერც აქ იხეირეს — მხოლოდ დრობნიმ და უპნიაკმა ივარგეს თითოჯერ, ესეც ქართველების უყურადღებობის წყალობით.

62:50-ზე ყველაფერი ისე მიდიოდა, რომ მეტოქე მეორედ უნდა გაგვეტეხა, მაგრამ ეს არც ამჯერად მოხდა. ისევ და ისევ ჩვენს გამო — შეტევაში რამდენიმე მიამიტური შეცდომა დავუშვით (ალბათ, მოგება უკვე განაღდებული გვქონდა) და თანაც ჯარიმებიც მივიღეთ. ამ მხრივ არც სლოვაკები ჩამოგვრჩნენ — შეცდომები მათაც მრავლად ჰქონდათ და თანაც, ღირებულს ვერაფერს ქმნიდნენ. ამავე დროს, მატიცკის, მიჩუდასა და უპნიაკს ოთხ-ოთხი პერსონალური ჰქონდათ მიღებული და ჯერ ისე რას თამაშობდნენ, ახლა კი ფრთხილად გარჯა დაიწყეს.

დაახლოებით ათწამიანმა მონაკვეთმა კი თამაშსაც განსხვავებული ელფერი შესძინა და მიწყნარებული მაყურებელიც გამოაცოცხლა. ჯერ იყო და სტეფანიამ საკუთარ ნახევარზე მოპარა ბურთი დრობნის, რამდენიმე ნაბიჯში მეტოქის ფართან მივიდა და მაღალ ნახტომში მძლავრად ჩატენა. სლოვაკებმა გრძელი პასით მოინდომეს შეტევის წამოწყება, მაგრამ ჩხეიძემ არ აცალათ: ბურთი ჩაჭრა, გაატანა უსტიაშვილს, ხოლო ამან დროულად მოძებნა ფარქვეშ ნაცვლიშვილი, რომელიც როგორ იზამდა, ამგვარი მდგომარეობიდან რომ არ ჩაეტენა. ანგარიში 75:55 გახდა, ხოლო თამაში კვლავ ნელ ტემპში გაგრძელდა. ჩვენ რა გვენაღვლებოდა, ვიგებდით და რაც მალე გავილოდა დრო, უკეთესი იყო. სლოვაკებს კი ვეღარაფერი უშველიდათ და მათაც ნამეტანი არ გამოუდვიათ თავი. საქართველოს ნაკრებმა სლოვაკეთში დამარცხებისთვისაც აიღო რევანში და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილსაც დააღწია თავი. იმედი ვიქონიოთ, რომ საბოლოოდ. მომდევნო მატჩს ჩვენები 27 ნოემბერს გამართავენ გერმანიაში, ოღონდ ბოსნიის ნაკრების წინააღმდეგ.

**ზურაბ რატიშვილი**

მატჩის შემდეგ ინტერვიუში მწვრთნელებს ბევრი არ ულაპარაკიათ — მიზეზი ერთია — საქართველოს ნაკრების უპირატესობა არასპეციალისტთათვისაც ულავო იყო.

მიროსლავ რეჰაკი, სლოვაკეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— არაფერი მეთქმის, თქვენებმა შესანიშნავად ითამაშეს, ჩვენ თამაში არ გამოგვივიდა. საქართველოს გუნდში ჩვენს მოედანზე ჩატარებულ პირველ მატჩთან შედარებით დიდი პროგრესია. სტეფანია მაღალი დონის კალათბურთელია, ძალიან მომეწონა ქარაბაკი და ნაცვლიშვილიც. თქვენმა გუნდმა დამსახურებულად გაიმარჯვა.

ბესიკ ლიპარტელიანი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

— ჩვენები პირველ ტაიმში ძალზე დაჯერებულნი გამოვიდნენ მოედანზე. მაყურებელიც დაჯერებული იყო ჩვენს გამარჯვებაში. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მეორე მხრივ შეიძლება მოადუნოს გუნდის ყურადღება. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ტაიმი მოვიგეთ, პირველ ნახევარში თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. მითითებები ზუსტად არ სრულდებოდა. შესვენებაზე მოთამაშეებს ეს შევახსენე და მეორე ტაიმის ძალიან კმაყოფილი ვარ, რა თქმა უნდა — მატჩის საბოლოო შედეგითაც. დარჩენილ შეხვედრებშიც მთელი მობილიზებით ვითამაშებთ და... ვნახოთ, რა გამოვა.

# ვოვა სტეფანია: ახლა შეგვიძლია გამარჯვებებზეც ვიფიქროთ



ამ ზამთრის პირს კალათბურთის ქართველი გულშემატკივრის ყურადღება თბილისის „ვითასკენ" უფრო მიპყრობილი, თუმცა არც ევროლიგაში მოასპარეზე ლიუბლიანას „ოლიმპიასადმია" გულგრილი — იქ ხომ ჩვენი ვლადიმერ სტეფანია გამოდის.

**— ვოვა, თქვენ ადრეც იყავით „ოლიმპიაში". მაშინდელი „ოლიმპია" უფრო ძლიერი იყო თუ ახლანდელი?**

— „ოლიმპია" ახლა უფრო ძლიერია. გუნდს ათი თანაბარი ძალის მოთამაშე ჰყავს, რომელთაც ყოველ წუთს შეუძლიათ უდანაკარგოდ ერთმანეთის შეცვლა. ეს გუნდს საშუალებას აძლევს მთელი მატჩი სწრაფ ტემპში წარმართოს.

**— თქვენს ადგილზე სასტარტო ხუთეულში კონკურენციაა?**

— ოთხი თანაბარი ძალის მოთამაშეა. მათ ცენტრალურ თავდამსხმელადაც შეუძლიათ თამაში და ეგრეთწოდებულ მეოთხე ნომრადაც. მოედანზე საკმაო დროს ვარ, ასევე არიან სხვებიც. ისე, როგორც გითხარით, აქ კალათბურთელთა დაყოფა ძირითადად და შემცვლელებად უფრო პირობითია, რადგან თითქმის თანაბარი ძალისანი ვართ.

**— თქვენ ევროლიგაში ასპარეზობთ. როგორ აქვს გუნდს საქმეები?**

— ჯერჯერობით არცთუ ცუდად, თუმცა გარკვეულად ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება, ყველაფერი წინაა.

**— ევროლიგაში ჩატარებული რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— ვერცერთს ვერ გამოვყოფ. ხორვატებთან, „ბარსელონასთან", ფრანგებთან, „პანათინაიკოსთან" — ყველა სამახსოვრო იყო. ჩემი თამაშით, ასე თუ ისე, კმაყოფილი ვარ.

**— როგორი პირობებია „ოლიმპიაში"?**

— ვარჯიშისთვის საკმაოდ ნორმალური. ოლონდ ეგაა, ძალიან დიდი დატვირთვები გვაქვს და ამიტომ ბევრი მიკროტრავმა მაწუხებს. ძალზე დაძაბულ რიტმში ვთამაშობთ. ახლაც, სანამ თბილისში წამოვიდოდი, სიცხიანი ვიყავი. ესეც, ალბათ, გადატვირთვის ბრალია. დასვენებისთვის დრო არ გვრჩება. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, „ოლიმპიაში" არ არის ისეთი პირობები, მთლიანად რომ აკმაყოფილებდეს ჩემს მოთხოვნებს. მაგრამ, თუ რეალურად შევხედავთ საქმეს, უფრო მაღალი კლასის გუნდები „რეალი", „ბარსელონა", „პანათინაიკოსი" და სხვები, როგორც უცხოელს, გუნდში ჯერ არ ამიყვანენ. ასე რომ, ჯერჯერობით „ოლიმპიაში" ვითამაშებ. მერე ვნახოთ.

**— თქვენ მიკროტრავმები ახსენეთ. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საუკეთესო ფორმაში არა ხართ?**

— არა, ნამდვილად არა. ამ მიკროტრავმების და შეუსვენებელი თამაშის გამო საუკეთესო ფორმისგან შორს ვარ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ საპასუხისმგებლო თამაშების წინ თავს ვიზღვევ, უბრალოდ, ფაქტია, რომ თავს არ ვგრძნობ ისე კარგად, როგორც უნდა ვიყო.

**— საქართველოს ნაკრებზეც გვითხარით...**

— ჩვენი თამაშის კლასი თანდათან მაღლდება. ეს შესარჩევი ტურნირი ახლა რომ იწყებოდეს, ალბათ, ბევრად უკეთ გამოვიდოდით. ბიჭებმა საერთაშორისო მატჩების გამოცდილება მიიღეს. ასეთი გამოცდილებით სლოვაკებთან სტუმრად და ისრაელთან თბილისში უკვე მოგებულ მატჩს არ წავაგებდით.

**— მომავალ მატჩებზე რა აზრის ხართ?**

— უკვე საკმაოდ შევთამაშდით, ერთად თამაშის გამოცდილება მივიღეთ და, ალბათ, დროა, გამარჯვებებზეც ვიფიქროთ.

**ილია მხეიძე**

# არჩილ ქლენტი — ოცნებაასრულებული კაცი



არჩილ ქლენტი შარშან თბილისის „დინამოს" გამთამაშებელი იყო. გელა დარსაძის ზეობის დროს არჩილს ძირითად შემადგენლობაში არც თუ ხშირად უწევდა გამოსვლა, თუმცა ზოგიერთ მატჩში, მათ შორის პრინციპულ შეხვედრებშიც, ბრწყინვალედ თამაშობდა. თუ არჩილს თამაში წაუვიდა, მისი ნახვა მართლაც ერთ რამედ ღირს. წლევანდელი სეზონიდან იგი მოსკოვის „სპარტაკშია". ბესიკ ლიპარტელიანმა კალათბურთელი პირველად მიიწვია ნაკრებში.

**— არჩილ, როგორი გუნდია მოსკოვის „სპარტაკი"?**

— საკმაოდ კარგი გუნდია. რუსეთის სუპერლიგაში თამაშობს და არც თუ ცუდად.

**— გუნდში როგორ მიგიღეს?**

— მართალი გითხრათ, არ ველოდი, ისე თბილად შემხვდნენ. თავიდან მაინცდამაინც არ მენდობოდნენ, მაგრამ თანდათან გამიცნეს, როგორც მოთამაშე, და ახლა უკვე ყველაფერი რიგზეა. ბოლო სამი თამაშია, სასტარტო ხუთეულშიც გამოვდივარ და ჩემით კმაყოფილები არიან.

**— რას გაძლევთ რუსეთის სუპერლიგაში თამაში?**

— ძლიერი ლიგაა. ძლიერ გუნდებთან მიწევს თამაში და, ალბათ, ეს დადებითად იმოქმედებს ჩემს სათამაშო კონდიციებზე. გარდა ამისა, ვარჯიშის შესანიშნავი პირობები გვაქვს.

**— კონტრაქტი რამდენი ხნით დადეთ?**

— კონტრაქტი არ გამიფორმებია. გუნდში შეთანხმების საფუძველზე ვარ. ეს მეც მაძლევდა ხელს და გუნდსაც. ნებისმიერ დროს შემიძლია გუნდიდან წავიდე.

**— აპირებთ სადმე გადასვლას?**

— ჯერჯერობით არა. შემდეგ, შეიძლება უფრო ძლიერ გუნდში გადავიდე. შესაძლოა სხვა ქვეყანაშიც, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე ფიქრი ნ ადრეა.

**— თუ ელოდით, რომ ნაკრებში მიგიწვევდნენ?**

— საქართველოს ნაკრებში თამაში ყოველთვის იყო ჩემი ოცნება და ძალზე მიხარია, რომ ოცნება რეალობად იქცა.

**— ნაკრებში პირველად ხართ, ხომ არ გეშინიათ?**

— არანაირ შიშს არ განვიცდი. მოედანზე არავისი არ მეშინია. შიში არა და, სურვილი კი დიდი მაქვს — მინდა ყოველთვის ღირსეულად ვითამაშო საქართველოს ნაკრების სახელით.

**კოტე მგალობლიშვილი**



# მსროლელებს ახალი პრეზიდენტი ჰყავთ

გუშინწინ გამართულ საქართველოს სროლის სახეობათა და მშვილდოსნობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობას ქვეყნის სპორტის ყველა თავკაცი დაესწრო, ის კი არა, ყრილობის დელეგატი თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ვანო გურგენიძეც გახლდათ. სროლა ხომ ჯარისკაცთა პირდაპირი მოვალეობაა...

დღის წესრიგის პირველ საკითხზე, „განვლილ პერიოდში (1995 წლის სექტემბრიდან) გაწეული მუშაობის შესახებ" ისაუბრა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ იმნაიშვილმა. ჩვენი მსროლელ-მშვილდოსნების ოლიმპიადამდელი შედეგები მან დადებითად შეაფასა, ოლიმპიადაზე გამოსვლა კი არადამაკმაყოფილებლად. „თუმცა, ამის ათობით სუბიექტური და ობიექტური მიზეზი არსებობს" — თქვა ვიცე-პრეზიდენტმა. მანვე ილაპარაკა გაპარტახებულ სასროლეთებსა და ტირების სავალალო მდგომარეობაზე, გამოთქვა იმედი, რომ სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთა დახმარებით ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება.

სარევიზიო კომისიის ანგარიშის შემდეგ კამათი გაჩაღდა. სიტყვით გამოვიდნენ ნინო სალუქვაძის მამა და მწვრთნელი ვახტანგი, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი და მისი პირველი მოადგილე ჯანო ბაგრატიონი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი. ქალბატონმა ნონამ დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიაპყრო აჭარის მშვილდოსანთა მწვრთნელის თამაზ ფუტკარაძის საქციელს, რომელიც, გამომსვლელის თქმით, „ყველა ინსტანციაში აგზავნის წერილებს და უსაფუძვლო მოთხოვნებს გვიყენებს".

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიადამდე საქართველოში მოვიდა გზავნილი ფაქსი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს კიდევ ერთი მშვილდოსნის წაყვანაც შეეძლო ოლიმპიადაზე. ფაქსში გვარი არ ეწერა და ვიღაცამ იფიქრა, რომ ნაგულისხმები იყო ხათუნა ფუტკარაძე. გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ ფაქსი შეცდომით იყო საქართველოში გამოგზავნილი რომ ფუტკარაძეს ლიცენზია არ ჰქონდა. ატლანტაში ჩასულმა ჯანო ბაგრატიონმა, აჭარის სპორტის მინისტრმა და ქართველ მშვილდოსანთა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი მაკიევმა ვერ მოისვენეს და კიდევ ერთხელ ჩაეძიენ ამ საქმეს, პასუხად კი ეს მიიღეს: ფუტკარაძეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა ატლანტაში გამოსვლის უფლება, თუ ქრივიშვილის აქ წამოყვანაზე უარს იტყოდით. ასე რომ, ჩვენ პირნათლები ვართ ფუტკარაძის წინაშე, აღნიშნეს ბაგრატიონმა და გაფრინდაშვილმა.

— ფედერაცია მხოლოდ ნინო სალუქვაძე და თამაზ იმნაიშვილი არ არის, ახალგაზრდებსაც უნდა მიექცეთ ყურადღება და სავარჯიშო პირობები შეექმნათ — თქვა თავის გამოსვლაში ნინო სალუქვაძემ.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებულ არჩევნებზე გადავიდნენ. უპირველესად დააკმაყოფილეს ფედერაციის პრეზიდენტის თემურ ჭყონიას თხოვნა თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე და ახალ პრეზიდენტად სამთავრობო დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვახტანგ ქუთათელაძე აირჩიეს. ვიცე-პრეზიდენტად კვლავ თამაზ იმნაიშვილი იმუშავებს, გენერალურ მდივნად კი გივი ჩოსტოღანაშვილი.

**ერეკლე ძიძილაშვილი**


## განცხადება

ვაგროვებ საფეხბურთო პროგრამებს თბილისის „დინამოს" მატჩებიდან. მესაჭიროება ევროთასებზე თბილისის „დინამოს" პროგრამები: „ტვენტესთან" (1971), მტკსთან, „კარდიფ სიტისთან" (1976) და „ჰამბურგთან" (1979). აგრეთვე მჭირდება ევროთასებზე „დინამოს" გასვლითი მატჩების და სსრკ ჩემპიონატის თამაშების (1936-70) პროგრამები. შესაძლებელია გაცვლა.

მისამართი: გლდანის მასივი. I მ-რ, 8 კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 31. ზაურ კიურჯიევი

ტელ: 67-09-31

ეროვნული ბიბლიოთეკა



მელბურნის ველოკლუბელთა შეჯიბრების ჩანახატი („საიენტიფიკ ამერიკენ", 1879)

იმ ხანად ლონდონში შემოვიდა ასეთი ველოსიპედი („რევოლუცია მაშინ", 1979)



# ვინა თქვა თბილისის უტრეკობა

საოცარია პირდაპირ — გასულ საუკუნეში, როცა თბილისში შენდებოდა კაზიონნი თეატრი (ახლანდელი ოპერისა და ბალეტის თეატრი), როცა ჩანასახშიც არ იყო ისეთი ნაგებობები, როგორებიცაა არტისტული საზოგადოებისა (დღევანდელი რუსთაველის თეატრი), მუსიკალური საზოგადოებისა (კონსერვატორია), სათავადაზნაურო გიმნაზიისა (სახელმწიფო უნივერსიტეტი), სათავადაზნაურო ბანკისა (სახალხო ბიბლიოთეკა), სასტუმრო მაჟესტიკისა (ჩვენი ხელით დანგრეულ-გადაბუგული სასტუმრო „თბილისი") და სხვა რამ მოსაწონებელი, როცა თბილისელებს კიდევ ბევრი რამ არ გვქონდა, გვქონდა– ველოტრეკი!

მართლაც საოცარია — ველოსიპედი ჯერ კიდევ რიგიანად არ იყო გამოგონებული და თბილისელებს უკვე ველოტრეკი გვქონდა!

ორი თვის წინათ ტულელებმა დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს თავიანთი ველოტრეკის 100 წლისთავი. საზეიმოდ ჩამოხსნეს საბურველი სტელასაც, რომელიც შეკრებილთ ამცნობდა, რომ ტულელთა ტრეკი მთელს რუსეთში პირველიაო. იქ მისული საზოგადოების ნაწილი ალბათ ფიქრობდა, ეს ჩვენი ტრეკი თუ საუკუნისაა, მთელს დედამიწაზეც უძველესი ეს იქნებაო.

მთელი დედამიწისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რუსეთის იმპერიაში პირველი ველოტრეკი სწორედ თბილისში აშენდა. არადა, მაშინ ჯერ კიდევ არ დამდგარიყო 1896 წელი, როცა ინგლისში ველოსიპედის სხვადასხვა გამომგონებელზე 5 ათასი პატენტი გაიცემა (სხვათა შორის, ეს ყოფილა 17 პროცენტი ინგლისში მთელი იმ წლის მანძილზე გაცემული პატენტებისა).

უფრო ნათელი რომ გახდეს ის, თუ რას ნიშნავდა იმ დროს თბილისში ტრეკის აშენება, თუ როგორ ფეხდაფეხ აჰყვა მოვლენებს ჩვენი დედაქალაქი, ალბათ უპრიანი იქნება მოკლედ გავიხსენოთ თავად ველოსიპედის გამოგონების ისტორია.

სამწუხაროდ, ამ ისტორიაში გარკვევა მეტად ძნელია, რაკილა ინგლისში გაცემული ის 5 ათასი პატენტი რა არის, როცა საუკუნენახევრის მანძილზე ამგვარი საბუთების რაოდენობა 100 ათასამდე გაიზარდა.

რუსებს რომ ჰკითხოთ, პირველი ველოსიპედის გამომგონებლად ნიჟეგოროდელ თვითნასწავლ მექანიკოს კულიბინს თვლიან. თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ გარკვეულან, რადგან პირველი ველოსიპედისა თუ მისი წინამორბედის გამომგონებლად ვიღაც ყმა მუშა არტამონოვსაც მიიჩნევენ. კულიბინს 1779 წელს რაღაც თვითგორია ოთხთვალა შეუქმნია. არტამონოვზე კი ამბობენ, ამ კაცმა შექმნა რაღაც თვითგორა და 1801 წელს მოსკოველებსაც უჩვენაო.

„ფასდაუდებელი, შეუდარებელი რკინის ცხენი", „ლითონის უმაღლესი პოეტური გამოხატვა", „XIX საუკუნის უდიდესი გამოგონება", „ადამიანის გენიის უდიდესი გამოგონება" — გასულ საუკუნეში ასე აფასებდნენ ორთვალა ველოსიპედ „როვერ-სეფტის" გამოგონებას, რომლის კონსტრუქციის ავტორი ინგლისელი ჯონ სტარლეი იყო. ეტყობა, სტარლეი პატიოსანი კაცი იყო, რადგან არც პატენტის აღება უცდია, და არც გამომგონებლად მიუჩნევია თავი. ამბობდა, მე მხოლოდ სხვათა მიერ გამოგონებული კვანძები და დეტალები გამოვიყენეო.

მართლაც, ველოსიპედის გამოგონების ავტორი გასულ საუკუნეში კი არა, უხსოვარ დროში უნდა ვეძებოთ. ძველეგვიპტურ ძეგლებზე ვხვდება გამოსახულება ფრთოსანი ამურისა, რომელიც ორი ბორბლის შემაერთებელ ღეროზე ზის. ან გავიხსენოთ იტალიელ არქეოლოგთა მტკიცება, რომლის მიხედვით ველოსიპედი 2 ათას წელზე მეტი ხნის წინათ არსებობდა. მათი მტკიცება ეფუძნება რომის მუზეუმში დაცულ ფრესკასა და ქვის სარკოფაგზე გამოსახულ ნახატებს, რომელთა ასაკი 2 ათას წელზე დიდი ხნისაა. ამ ნახატებზე გამოსახულია ყველა ის დეტალი, რომლებიც დღევანდელ ჩვეულებრივ ველოსიპედს აქვს. ამ დეტალებს შორისაა ხმოვანი სიგნალის მოწყობილობაც, რომელიც საჭეს ამშვენებს.

ასე რომ, გასული საუკუნის მიწურულამდე ველოსიპედი მრავალჯერ გამოიგონეს.

დასავლეთში 1813 წელს გერმანელმა ბარონ დრეზმა თავის გამოგონებულ თვითმავალ ურიკას „სარბენი მანქანა" უწოდა. 1840 წელს ინგლისელმა მაკ მილანმა გერმანელის გამოგონებულ „მანქანას" სატერფული დაუყენა, ხუთი წლის მერე კი ფრანგმა მიშომ თავისი გამოგონებული მუხრუჭით აღჭურვა ის უბადრუკი ქმნილება და მას ველოსიპედი უწოდა, მაგრამ ამ სახელს გავრცელება ფრიად გაუჭირდა. ამერიკელები ამ მანქანას ძველებურად „სანჯღრეველას" უწოდებდნენ, რაც სრულიად შესაფერისი სახელი იყო. ის მანქანა ვეება ხისბორბლებიანი, ძალზე მძიმე იყო და მძიმედაც დაბობღავდა.

ამგვარად წლობით იბობღიალა და 1865 წელს ფრანგმა ტევენსმა ხის ბორბლები რეზინის ჩამოსხმული სალტეებით შეცვალა, მაგრამ ამით ის ველოსიპედი ოდნავაც არ გაუმჯობესებულა, პირიქით — დამძიმდა. არადა, იმ დროს ორთქლმავალი კარგა ხნის გამოგონებული იყო. 1867-70 წლებში ინგლისელებმა მადისონმა და კუპერმა ის უშველებელი ხის ბორბლები ლითონით შეცვალეს და საქმეც დაიძრა. სწორედ ამის მერე გამოჩნდა ქმნილება, რომელიც ველოსიპედს დაემსგავსა. მისი წინა ბორბალი ადამიანის სიმაღლისა იყო, უკანა კი — ერთი ციცქნა. ამ ჟირაფის კისერივით მაღალ ველოსიპედზე ჯდომა და სატერფულების ტრიალი მხოლოდ გულადებსა და ფიზიკურად ძლიერებს შეეძლოთ.

ამის მერე ავანსცენაზე გამოჩნდა ფრანგი სირუსენი, ვინც ველოსიპედის ბორბლები ბურთულებიან საკისრებზე დააყენა, ხოლო ინგლისელმა ჰემბერმა ველოსიპედი დაადაბლა და დღევანდელი ამაჩქარებელი ჯაჭვური გადაცემის მსგავსი გამოგონებით აღჭურვა.

1884 წლიდან ველოსიპედი საკმაოდ შემსუბუქდა, სისწრაფეც მოემატა, მაგრამ სახელი „სანჯღრეველა" მაინც ვერ მოიშორა, რაკილა ისევ ლითონის სალტეებით დაჯაყჯაყობდა.

დაჯაყჯაყობდა ერთი ინგლისელი დანლოპის ვაჟიც. იმ ჯაყჯაყის მერე დუნდულები მთლად გადაეყლიფა და დაულურჯდა, მაგრამ თავის „რკინის ცხენს" მაინც ვერ ელეოდა, შინ მისული კი სადილზე მაგიდასთან სკამზე ველარ ჯდებოდა. უყურა, უყურა მამამ და რაკი შვილს გატაცებაზე ხელი ვერ აალებინა, გამოსავალიც გამონახა. რეზინის სარწყავი მილი დაჭრა, ორ რგოლად დაახვია და ბოლოები ერთმანეთს შეუერთა. მერე რეზინის რგოლები ველოსიპედის ბორბლებს შემოავლო და დაამაგრა. ბოლოს მამა უფრო შორს წავიდა და ის რგოლები ჰაერით გაბერა და შვილმაც ამოისუნთქა.

მაშინ, 1890 წელს მამა-შვილს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ეს XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი გამოგონება იყო. ზემოთ რომ გამომგონებლები ვახსენეთ, ყველა მათგანს ჰყავს მოცილე, დანლოპი ერთადერთია, ვისაც კონკურენტი არა ჰყავს თავის გამოგონებაში.

მალე დანლოპმა პატენტი მიიღო და ისტორიაში შევიდა, როგორც გამომგონებელი ჰაერის სალტეებისა, რაც სხვა არა არის, თუ არა ჩვეულებრივი საბურავი.

დღესაც ნახავთ ველოსიპედის საბურავებს, რომლებსაც ამშვენებს წარწერა „დანლოპ". იგივე წარწერა ამშვენებს მრავალი ავტომობილის საბურავსაც.



თავადი ვასილ ჯორჯაძე

რაკი ამდენი ვისაუბრეთ ველოსიპედის გამოგონებაზე, ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მან არა მხოლოდ ავტომობილებს მისცა საბურავები, არამედ თვითმფრინავებსაც. ავიამშენებლებმა მისგან აიღეს ჩარჩო, ავტომობილისტებმა — სალტე, მანქანათმშენებლებმა — საკისარი, ცნობილმა გამომგონებელმა შპიტალინმა კი თავისი ტყვიამფრქვევისთვის ველოსიპედის უნაგირის ზამბარები გამოიყენა.

დავუბრუნდეთ დანლოპის გამოგონებას, რამაც ამერიკელებს გადაავიწყა სახელი „სანჯღრეველა". ამ გამოგონების მერე ველოსიპედი მართლაც ველოსიპედი გახდა. ახლა შეჯიბრებების გამართვაც უფრო აქტიურად შეიძლებოდა, ამისთვის კი სარბიელი იყო საჭირო.

და თბილისშიც აშენდა რუსეთის იმპერიაში პირველი და მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ტრეკი. იგი აშენდა სწორედ მაშინ, როცა დანლოპმა თავისი გამოგონება მისცა მსოფლიოს, იგი აშენდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა თავისუფალი სვლის მექანიზმი. გამომგონებლები კი ისევ და ისევ იგონებდნენ...

მიუხედავად ამისა, შეჯიბრებები სულ უფრო და უფრო ხშირად იმართებოდა. სწორედ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს დღეისათვის ისეთი პოპულარული ასპარეზობა, როგორიცაა ექვსდღიანი უწყვეტი რბოლები ტრეკზე და საგზატკეცილო ველოტურები „ტურ დე ფრანსი", „ჯირო დიტალია" და სხვა. 1893 წელს ჩატარდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი სატრეკო ველორბოლაში, რაც 1896 წელს ოლიმპიურ პროგრამაში ჯერ კიდევ არ ყოფილა.

აი, ამ დროს თბილისელებს უკვე აქვთ ველოტრეკი, რაც იმდროინდელ მსოფლიოში ძალზე იშვიათი რამ გახლდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ტრეკის დაბადების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის.

ზოგი ცნობის თანახმად თბილისის ტრეკი 1898 წელს გაიხსნა, მაგრამ ერთი ცნობის მიხედვით 1895 წელს ვინმე დ. პოუტჩეკს „კავკასიის საუკეთესო მრბოლელის" სახელი სწორედ ჩვენს ტრეკზე მოუპოვებია.

ახლა გადავფურცლოთ 1893 წელს პეტერბურგში გამომავალი ჟურნალი „ველოსიპედ"-ი, რომელშიც ვკითხულობთ თბილისის ტრეკზე გამართული შეჯიბრებების შესახებ.

მიკვლეულ საბუთთაგან ეს ჟურნალი უძველესია, რომელიც უტყუარად ასაბუთებს 1893 წელს თბილისში ტრეკის არსებობას. უფრო ადრინდელი საბუთი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, 2 ნოემბერს თბილისის ველოტრეკის 110 წლისთავს აღნიშნავენ.

— ბიძისაგან ვიცი, რომ თბილისის ველოტრეკი 1876 წელს აშენდა, — გვეუბნება ავთანდილ გუნია, ვინც მეორე მსოფლიო ომის მერე საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და სსრ კავშირის რეკორდსმენი იყო ველოსპორტის სხვადასხვა სახეობებში. — ბიძაჩემმა კი ტრეკის მშენებლობის ამბავი იცოდა თავად ჯორჯაძისაგან, ვისაც კარგად იცნობდა და ვინც ტრეკის მშენებლობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. ბიძაჩემი გიორგი ლეჟავა 30-40-იანი წლების ქართული ველოსპორტის აღიარებული ლიდერი და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი იყო. 15 წლისას სწორედ მან დამაწყებინა ველორბოლა. თუმცა თბილისის ტრეკზე პირველად გაცილებით ადრე ექვსი წლისა მიმიყვანა. ის დღე გუშინდელივით მახსოვს — შეჯიბრება ტარდებოდა, მაგრამ ჩემი უდიდესი შთაბეჭდილება ასპარეზობასთან კი არა, ერთ საშიერო ამბავთანაა დაკავშირებული. საქმე ის იყო, რომ ხის მოაჯირმა მოზღვავებულ ხალხს ველარ გაუძლო, გადაინგრა, ის უამრავი მაყურებელი თან გადაყვა და ტრეკზე ყირამალა ჩაგორდა. აბა, ექვსი წლის ბავშვისთვის ასეთ სანახაობაზე გასახარი რაღა უნდა ყოფილიყო!

ავთანდილ გუნიამ მთელი ცხოვრება თბილისის ტრეკზე გაატარა. იგი იქ არ დაბადებულა, თორემ ტრეკზე გაიზარდა და 72 წლისა მოიყარა. ამ 72-დან 66 სწორედ ტრეკზე გაატარა, რადგან, როგორც თავად იხსენებს, ბიძას იმ მოაჯირის გადანგრევიდან ყოველდღე ტრეკზე დაჰყავდა.

ამ ტრეკთან დაკავშირებულ ისტორიაზე მან ბევრი გვიამბო. ახლა მის მონათხრობსაც გავიხსენებთ, გზადაგზა კი სხვადასხვა დოკუმენტებსაც გადავხედავთ. ჩავიხედოთ 1893 წლის „ველოსიპედის" იმ ნომერშიც, სადაც თბილისის ტრეკზე გამართული ასპარეზობის შესახებაა მოთხრობილი და წაკითხულის მიხედვით თვალი მივადევნოთ შეჯიბრებას.

მაშ ასე, 1893 წლის 22 აგვისტოა, კვირადღე. თბილისი დილიდანვე მოღრუბლულა და გაუთავებლად წვიმს. თან საკმაოდ ძლიერი ქარიც უბერავს. ეს ყველაფერი სიცხით გათანგულ თბილისელებს გულზე მალამოდ ედებათ, მაგრამ წვიმას მაინც თავს აფარებენ. მერე, თითქოს პირი შეკრესო, არად აგდებენ შხაპუნა წვიმას, გუბეებს და ლამის მთელი ქალაქი დიდი მთავრის ქუჩისკენ (ახლანდელი დიმიტრი უზნაძის) გარბის. იქ მათ დიდი სანახაობა ელით — ველოსიპედებით რბოლა. „ველოსპორტის მოყვარულთა საზოგადოების" წევრებმა აღარ იციან, დაუცადონ თუ არა გამოდარებას. სანამ ისინი ამაზე ბჭობენ, ტრეკი მაყურებლებით ივსება. ბოლოს იმდენი გულშემატკივარი გროვდება, რომ „ველოსპორტის" საზოგადოება მოზღვავებულ მაყურებელს ანგარიშს უწევს და შეჯიბრების გადატანაზე აღარც ფიქრობს.

ასპარეზობაში მონაწილეობის მსურველი ექვსი კაცი აღმოჩნდა. ესენი არიან ვინმე მ. ტრეტიაკოვი, ი. ბერმანი, ნ. გლაგოლევი, ი. დიკი, ი. ზიმერმანი, რომლებიც „რუჯის" ფირმის საგზაო ველოსიპედებით მოსულან. იქვეა თავადი ვასილ ჯორჯაძე, რომელიც „რუჯზე" მსუბუქ და მოხერხებულ „გუმბეროვის" ველოსიპედით აპირებს გამარჯვებისთვის ბრძოლას.

მალე ტრეკზე შეჯიბრებაც იწყება ტაშითა და გამამხნევებელი შეძახილებით. მერე მოასპარეზეთ ისევ ტაშით და შეძახილებით მიაცილებენ ქალაქში, სადაც მათ 12 კილომეტრის მანძილზე ხალხი ოვაციებით ხვდება. უკანდაბრუნებულთაგან ტრეკზე პირველი მოაგელვებს თავის „რკინის ცხენს" თავადი ჯორჯაძე, რომელმაც მეორე ადგილზე გასულ ბერმანს რამდენიმე ათეული მეტრით უსწრებს. გამარჯვებულს ხალხი აღტაცებით ეგებება...

მაშინ, 1893 წელს თბილისში გამართული შეჯიბრების შესახებ რომ მოგვითხრობდა ჟურნალი „ველოსიპედ"-ი, მან ერთი მეტად საინტერესო ინფორმაციაც მოგვაწოდა — როგორც უკვე ვიცით, იმხანად თურმე საქართველოში არსებობდა ველოსპორტის მოყვარულთა საზოგადოება, რომელსაც სწორედ თავადი ვასილ ჯორჯაძე ხელმძღვანელობდა. ის საზოგადოება კი სხვა არ არის, თუ არა დღევანდელი ველოსპორტის ფედერაცია. არადა, იმ დროს, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, სწორედ 1892 წელს ჩამოყალიბდა მსოფლიოში უძველესი საერთაშორისო სპორტული ფედერაციები — ტანვარჯიშისა (ფიჟ), ნიჩბოსნობისა (ფისა) და ციგურებით მორბენლებისა (ისუ). ამათ მოჰყვა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირი (უსი), რომელიც 1900 წელს დაარსდა. მისი დამფუძნებლები იყვნენ ინგლისი, ბელგია, იტალია და საფრანგეთი. ჩვენი ქვეყანა რომ მაშინ ღირსებააყრილი არ ყოფილიყო, ისიც ალბათ იმ დამფუძნებელთა შორის იქნებოდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

დასასრული მომდევნო „სარბიელში"

**მეზეკი ინწკირველი**

სახელმწიფო კანცელარიის სოციალური სფეროს რეფორმების ... სპორტის საქმეთა ბიუროს სახელმწიფო მრჩეველი



# სპორტი ხომ მხოლოდ მედლები არ არის

უკან დარჩა ატლანტის ოლიმპიადა და ოლიმპიური ციებ-ცხელებაც მინელდა, დადგა დრო დასკვნების გაკეთებისა და საფუძვლიანი ანალიზისა. ეს არაერთხელ აღნიშნავს კიდეც ქვეყნის პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს თავის ბოლოდროინდელ გამოსვლებში თუ სპორტსმენებთან შეხვედრებისას.

არა მგონია, ვინმე კმაყოფილი იყოს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი გუნდის შედეგებით. მაგრამ, საბოლოო ჯამში, შეიძლება ეს უფრო წაადგეს ქართულ სპორტს, მის მომავალს, ვიდრე ჩვენი სპორტის მდგომარეობაზე ილუზიების შექმნა, რასაც მედლების გარკვეული რაოდენობის მოპოვება გამოიწვევდა.

არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს კმაყოფილი ვიყო მიღწეული შედეგებით, სრულებითაც არა, მაგრამ ოლიმპიადამ ხომ სწორედ ის აჩვენა, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია დღეს ქართული სპორტი, გვიჩვენა, რომ ამ დაფინანსებითა და მომზადების დონით წარმოუდგენელია ვიფიქროთ სპორტის განვითარებაზე და დიდ სპორტულ მიღწევებზე.

ოლიმპიადაზე წარუმატებელმა გამოსვლამ ჩვენში სპორტი განსაკუთრებული მზრუნველობისა და ყურადღების საგანი გახადა. ამის დასტურია ბატონ ედუარდის ხშირი შეხვედრები ქართველ სპორტსმენებთან და მის მიერ გაწეული ფინანსური დახმარება.

საქართველოს პარლამენტში კი დაჩქარდა 20 სექტემბერს მიღებული „სპორტის შესახებ“ კანონის განხილვა.

თავის დროზე სახელმწიფომ თვითონ დათმო სპორტში მონოპოლიური უფლება, ყველაფერი ეროვნულ ფედერაციებს გადასცა და მაკოორდინებელი ფუნქციით შემოიფარგლა.

სპორტული ფედერაცია გახდა ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანო სპორტის შესაბამის სახეობაში, მაგრამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერცერთი ფედერაცია ვერ უზრუნველყოფს სპორტული ღონისძიებების ჩატარებასა თუ გამგზავრებისთვის აუცილებელი თანხების გამონახვას, რის გარეშეც წარმოუდგენელია ამა თუ იმ სახეობის განვითარება. შეიქმნა გაურკვეველი, ქაოსური სიტუაცია.

სპორტის კანონის მიღების შემდეგ სპორტის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მკაცრად გაემიჯნათ ფუნქციები და ამიტომ, ალბათ, უპრიანი იქნებოდა ზოგიერთი მუხლის ჩამოთვლა. მაგალითად, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის: სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა განსაზღვრა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სპორტის ახალ სახეობათა ლიცენზირება, ატესტაცია და პროფესიული დონის განსაზღვრა, სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფა, სპორტის დაფინანსების სახელმწიფო ნორმატივების შემუშავება და ფედერაციების მიერ სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეუსრულებლობისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევისას მარეგისტრირებელ ორგანოსთან ერთად ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ფუნქციების შეჩერება საგანგებო ყრილობის მოწვევამდე და ეს ეხება ყველა ეროვნულ სპორტულ ფედერაციას, განურჩევლად იმისა, არის თუ არა ფინანსურად დამოკიდებული სახელმწიფოზე.

ამასთან, სპორტული ფედერაცია, როგორც მოგახსენეთ, რჩება ერთადერთ ხელმძღვანელ ორგანოდ ამა თუ იმ სახეობაში და პასუხს აგებს მის განვითარებაზე.

სპორტული ფედერაცია წარმოადგენს სპორტის შესაბამის სახეობას როგორც ქვეყანაში, ისე მის გარეთ. ასრულებს სახელმწიფო დაკვეთას, აკომპლექტებს ეროვნულ ნაკრებ გუნდს და წარადგენს მას საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში და შეჯიბრებებზე, ფედერაციას უფლება აქვს ეწეოდეს კანონმდებლობით ნებადართულ საქმიანობას.

კანონში აგრეთვე გათვალისწინებულია მასობრივი სპორტი, რომელიც ჩვენში ბოლო დროს თითქმის მთლიანად უგულებელყოფილი იყო. სკოლამდელ და სასწავლო დაწესებულებებში, პროფილისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად, სპორტი შეტანილია ერთიან სასწავლო პროგრამაში და მას განათლების სამინისტრო ამტკიცებს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად.

კანონი თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებს ავალებს სკოლისგარეშე გამაჯანსაღებელი და სპორტული დაწესებულებების შექმნას.

სამხედრო მოსამსახურეების, შინაგან საქმეთა, უშიშროების სამინისტროებისა და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის პირადი შემადგენლობის სპორტული მომზადების შინაარსიც სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით უნდა განისაზღვროს.

კანონით, ინვალიდების სპორტული ღონისძიებები სახელმწიფო და ადგილობრივმა ბიუჯეტმა უნდა დააფინანსოს.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროს — სპორტული ბაზების ფუნქცია სახელმწიფო დეპარტამენტთან შეუთანხმებლად არ უნდა შეიცვალოს, არც სასწავლო დაწესებულების მშენებლობაა ნებადართული სპორტული ობიექტის გაუთვალისწინებლად და ასე შემდეგ.

უკანასკნელი წლების სპორტული ცხოვრება პირობითად შეიძლება ორ პერიოდად დაიყოს — ატლანტის ოლიმპიადამდე და მის შემდგომ. ჩვენთვის უფრო საინტერესო ამჟამად ისაა, რაც ოლიმპიადის შემდეგ ხდება, უკვე იგრძნობა სასიკეთო ძვრები და სურვილი იმისა, რომ ქართულმა სპორტმა კრიზისს თავი დააღწიოს. ეს კი სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლებელია, მან ზრუნვა არ უნდა მოაკლოს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. ამ მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების და სპორტის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემმუშავებელი სამთავრობო კომისია სახელმწიფო მინისტრის, ბატონ ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც წლის ბოლომდე უნდა შეიმუშაოს აღნიშნული პროგრამა და წარადგინოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

რადგან დღეს-დღეობით სპორტი სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე ვერ განვითარდება, მთელი ძალაუფლება სპორტის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოს — სახელმწიფო დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს. როგორც ბატონმა ედუარდმა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ბრძანა, „...დეპარტამენტს უჭირს ურთიერთობა სამინისტროებთან, შესაძლებელია მისი ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამინისტროდ გარდაქმნა“.

ამიტომაც საშურია ყოველი დღე, ყოველი წამი, აქედანვეა საჭირო დიდი თადარიგი, რისთვისაც მზად არიან პრეზიდენტი, ხელისუფლება, მთავრობა. ისინი მზად არიან სპორტთან სათანამშრომლოდ, მასზე სახელმწიფოებრივად ზრუნვისთვის და ყველაფერს იღონებენ ქართული სპორტის განვითარებისა და წინსვლისთვის. სპორტი ხომ მარტო მოპოვებული მედალი არ არის, იგი ერის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის რეალური პირობაა.

ამ თვალსაზრისით სპორტი და მისი კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა ქართული ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია და ამიტომ ყველამ, ვისაც ხელეწიფება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა აკეთოს თავისი საქმე.

საქართველოს ჟურნალისტთა უფროსი თაობის რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ღირსეული სპეციალისტი და პიროვნება ნოდარ ევგენის ძე გუგუშვილი.

განათლებით ფილოსოფოსმა ახალგაზრდობაშივე დაუკავშირა თავისი ცხოვრება ახალშექმნილ ქართულ სპორტულ გაზეთ „ლელოს“ და წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ ამ გაზეთში, საერთოდ, ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში. ღრმა განათლების წყალობით ნოდარ გუგუშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული სპორტული ტერმინების შემუშავებაში, რაც აისახა კიდეც ლექსიკონებში. სიცოცხლის ბოლომდე თანამშრომლობდა ქართული ენციკლოპედიის შესაბამის რედაქციასთან, ბევრი მისი სტატიაა შესული ამ გამოცემაში.

მკითხველს ახსოვს ნ. გუგუშვილის მაღალი ოსტატობით, ნიჭიერებით გამორჩეული საგაზეთო ნარკვევები და რეპორტაჟები, სატელევიზიო თუ რადიოგადაცემები, წიგნები, რომლებიც მან გამოსცა ოლიმპიური თამაშებიდან თუ მსოფლიო ჩემპიონატებიდან დაბრუნების შემდეგ. არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქართულ სპორტს, ჩვენი ქვეყნის გამორჩეულ სპორტსმენებს.

ერთხანს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სპორტულ გადაცემათა მთავარ რედაქციაში იმუშავა და აქაც თქვა თავისი სიტყვა, როგორც ნიჭიერმა პროფესიონალმა. ამ ხალხმრავალ ორგანიზაციაში მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა. ბოლო ათი წელიწადი ჟურნალ „მართვეს“ რედაქტორობდა, მაგრამ „ლელოსთან“ ურთიერთობა არ გაუწყვეტია. გაზეთს ბურჯად ედგა ჩვენი ცხოვრების მძიმე პერიოდში.

ნ. გუგუშვილი ათეული წლების განმავლობაში იყო საქართველოში ოლიმპიური იდეალების დაუღალავი პროპაგანდისტი. დიდი ხალისით და სიამაყით მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნასა და დაფუძნებაში, იყო სეოკის უცვლელი წევრი.

წესად დამკვიდრდა — ყველა დამწყებ ჟურნალისტს გულდასმით უნდა გადაეკითხა ნოდარ გუგუშვილის პუბლიცისტური სტილით გამოქვეყნებული წერილები, მისი წიგნები თუ ბროშურები, და მხოლოდ ამის შემდეგ გაეკეთებინა საბოლოო არჩევანი. ახალბედა ჟურნალისტებისთვის იგი მუდამ საყვარელი უფროსი მეგობარი და კეთილი დამრიგებელი იყო.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით სწორედ ახალგაზრდა ჟურნალისტთა თაობების აღზრდაში და ქართული სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, ამ ორიოდე თვის წინ, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი, გულისხმიერებით, სიკეთით, საქმისა და მოყვასის სიყვარულით გამორჩეული პიროვნება.

ნ. გუგუშვილის ფუძეჩაყრილ ტრადიციებზე კვლავაც აღიზრდებიან თაობები.

ე. შევარდნაძე, ნ. ლეკიშვილი, რ. მიმინოშვილი, ე. შენგელაია, გ. ლორთქიფანიძე, ლ. ღოღობერიძე, ვ. აბაშიძე, კ. ასათიანი, ნ. გაფრინდაშვილი, ა. გოგელია, თ. კვაჭანტირაძე, ა. სიხარულიძე, თ. გაჩეჩილაძე, დ. მჭედლიშვილი, ო. მელვინეთუხუცესი, თ. ჩხენკელი, გ. კარტოზია, ვ. ბალავაძე.

## ვისთვის ნოდარი იყო, ვისთვის ბატონი ნოდარი, ვისთვის კი უბრალოდ ნოდრო. მკითხველისთვის



# ნოდარ გუგუშვილი

ამ სახელსა და გვარს საოცარი ძალა ჰქონდა. გაზეთს ეძებდნენ და ნოდარ გუგუშვილს კითხულობდნენ. ორასი ათასი იბეჭდებოდა, მაგრამ მაინც ძნელად მოსახელთებელი იყო. ამ გაზეთს საქმეზე გადაგებული ხალხი აკეთებდა — კაცები და პროფესიონალები. პროფესიული სპორტი ჩვენში გვიან აღიარეს, პროფესიონალი სპორტული ჟურნალისტები კი გაცილებით ადრე გამოჩნდნენ. ნოდარ გუგუშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. მან ჟურნალისტიკაში ახალი სტილი მოიტანა, რომელიც სპორტის ღრმა ცოდნას და ამის გადმოცემის სისადავეს ეფუძნებოდა. „ლელოს“ გაყვითლებული ფურცლები ნოდარის უამრავ ნაწერს ინახავს. ეს წერილები ქართული სპორტის ორმოცდაათწლიანი ისტორიის უმთავრეს ამბებს იტევს. ქართულ სპორტში არ ყოფილა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, ნოდარის კალამი რომ არ შეხებოდეს. იყო ჩვენი სპორტის მუხლჩაუხრელი მემატიანე, მისხალ-მისხალ აღნუსხავდა ყველა წარმატებას, თითოეულ ქულასა და მედალს და ამას აკეთებდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. აკეთებდა ჩუმად და უპრეტენზიოდ, ოქრომჭედლის სიზუსტით და პასუხისმგებლობის გრძნობით.

ნოდარ გუგუშვილი პირველი ლელოელი იყო, მიხეილ კაკაბაძის თანამრძოლი და თანამოკალმე. მოგვიანებით, მიზეზთა გამო, გაზეთს რამდენიმე წლით ჩამოსცილდა, მაგრამ სულით ხორცამდე ლელოელად დარჩა და როცა საჭიროდ მიიჩნია, ისევ „ლელოს“ მოუბრუნდა, მის მხრებზე გადაიარა გაზეთისთვის ყველაზე მძიმე პერიოდმა. საქმის და სიტყვის ერთგულება ნოდარ გუგუშვილის ერთ-ერთი უმთავრესი თვისებათაგანი იყო. ზედმიწევნით ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა სპორტის სამყაროს და ამის დასტურია მისი თითოეული პუბლიკაცია, თითოეული სტრიქონი. პროფესიონალის, ნამდვილი ოსტატის ხელი იგრძნობა არა მარტო დიდ საგაზეთო წერილებში თუ ნარკვევებში, თითქოს უმნიშვნელო ინფორმაციაშიც კი. ნოდარ გუგუშვილმა ჟურნალისტიკაში იპოვა ოქროს შუალედი, მის ნაწერებში ყველაფერი ზომის ფარგლებშია: ემოცია, ინტრიგა, კრიტიკა, დიდაქტიკა... ნოდარის მიერ დანახული და აღწერილი ორთაბრძოლა, მატჩი თუ ტურნირი ყოველთვის ორიგინალური და საინტერესოა, რადგან სრულიად ახალი კუთხით წარმოაჩენს სპორტს. შეუძლებელია მისი სტილი და ხელწერა სხვისაში აგერიოს. შეუძლებელია არ აღფრთოვანდე ნოდარ გუგუშვილის პროფესიული კეთილსინდისიერებით და იშვიათი შრომისმოყვარეობით. მას სპორტის ნებისმიერ სახეობაზე ჩამოყალიბებული აზრი ჰქონდა, მაგრამ რამდენიმე სახეობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. მათ შორის, უწინარესად, კალათბურთს, ჭიდაობას, ველოსპორტს, ოლიმპიურ თემატიკას. ნოდარ გუგუშვილის ნაშრომები, ცალკე წიგნად შეკრული და გამოცემული, ქართული სპორტული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო შენაძენია.

სამწუხარო ის არის, რომ ბატონი ნოდარი ვერ მოესწრო თავისი მთავარი წიგნის — პირველი ქართული სპორტული ენციკლოპედიის გამოცემას. ამ წიგნს მთელი თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობის მანძილზე წერდა და რუდუნებით გამოაქანდაკა, როგორც ძეგლი ქართული სპორტისა. ადრე თუ გვიან, ეს ძეგლი დღის სინათლეს უსათუოდ იხილავს და ამით გვირგვინი დაედგმება ნოდარ გუგუშვილის ამქვეყნიურ ცხოვრებას.

ვისთვის ნოდარი იყო, ვისთვის ბატონი ნოდარი, ვისთვის კი უბრალოდ ნოდრო.

მკითხველისთვის — ნოდარ გუგუშვილი...

**ელგუჯა ბერიშვილი**

**ბალახის ჰოკეი**

# ქუთაისში მამუკა და ჰოკეი გაიხსენეს

ახლახან ქუთაისის ცენტრალური სტადიონის ხელოვნურსაფარიან მოედანზე საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა ბალახის ჰოკეიში. ვაჟთა ტურნირი, რომელიც ქუთაისის ქალაქის თავის მამუკა ასლანიკაშვილის ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი, პირველად გაიმართა, მაგრამ როგორც ტურნირის ორგანიზატორები — ბალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი თეიმურაზ არჩაია და ტურნირის გენერალური სპონსორი ფირმის „ამროს“ პრეზიდენტი როლანდ ამაღლობელი ირწმუნებიან, ტრადიციული გახდებაო.

წლევანდელი ასპარეზობა დიდად წარმომადგენლობითი ვერ გამოდგა. საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებთა გარდა მასში მხოლოდ აზერბაიჯანის ეროვნული გუნდი მონაწილეობდა. სომხების უარი სხვა საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრებით იყო გამოწვეული, რუსებმა კი იმად იუარეს, რომ წლიურ კალენდარში თქვენი ტურნირი გათვალისწინებული არ გვქონდაო, ამჯერად უჩვენოდ ითამაშეთ, გაისად კი უსიკვდილოდ გეწვევითო.

სამგუნდიანი ტურნირის აშკარა აუტსაიდერი ქართველი ახალგაზრდების გუნდი გამოდგა. მათ ორივე მეტოქესთან მშრალად წააგეს. ასე რომ, საქართველოს და აზერბაიჯანის ეროვნულთა შეხვედრა თავისებური ფინალი გამოდგა და მასში უფრო გაწაფულმა სტუმრებმა გაიმარჯვეს 2:1. რაკი ჩვენმა ეროვნულმა ახალგაზრდებს 2:0 მოუგო, აზერბაიჯანისამ კი 8:0, სტუმრებს ბოლო მატჩში ფრეც ხელს აძლევდათ, მაგრამ ქართველებმა, იმის მიუხედავად, რომ მეორე ნახევარში თამაშით აჯობეს მეტოქეს, მასთან გატოლება ვერ შეძლეს.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აზერბაიჯანელი რამიზ მეხტიევი აღიარეს.

გუშინ ქუთაისში ბალახის ჰოკეის ფედერაციის ყრილობაც უნდა გამართულიყო, მაგრამ, რადგან მისი პრეზიდენტი სასწრაფო საქმეზე მოსკოვს შეიქნა წასასვლელი, ყრილობის გამართვა 12 ნოემბრისთვის გადაიდო.

**რამაზ ჩხიკვაძე ქუთაისიდან**

**ჭიდაობა**

# გობეჯიშვილი პრეზიდენტია

ისეთი ხალხმრავლობა, ჭიდაობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე რომ იყო, მანამდე ჩატარებულ ამგვარ თავყრილობებზე არ ყოფილა. 158 მოწვეული დელეგატიდან ყრილობას ესწრებოდა 134 და რა გასაკვირია, რომ სპორტის აკადემიის საქტო დარბაზში ნემსიც არ ჩავარდებოდა. თუმცა ჟურნალისტების მიმართ ფედერაციის მესვეურებმა ყურადღება გამოიჩინეს და „დაჯავშნულ“ ადგილებზე დაგვსხეს.

სანამ ყრილობის ამბებს მოგითხრობდეთ, ერთ სასიხარულო ამბავს გამცნობთ: სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე 1978-80 წლებში დაბადებულმა ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ორი ოქროს და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პირველი ადგილები თბილისელებმა ზაზა ნოზაძემ (74 კგ) და თამაზ გეგეშიძემ (90) დაისაკუთრეს. გორელი ოთარ თუშიშვილი (54), თბილისელები დავით ლეჟავა (63) და დავით ოთიაშვილი (მძიმე) კი მესამენი იყვნენ.

ახლა ყრილობას მივუბრუნდეთ. ფედერაციის პრეზიდენტმა დავით გობეჯიშვილმა ისაუბრა განვლილი პერიოდის საქმიანობაზე. ფედერაციის მუშაობა ყრილობამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

ჭიდაობის ფედერაციამ, დემოკრატიული ტრადიციის შესაბამისად, ყრილობამდე ყველა თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. პრეზიდენტობას ორი კანდიდატი ეცილებოდა ერთმანეთს — ახლანდელი პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი და პარლამენტარი ზურაბ ქორიძე. ფარულ კენჭისყრაში გობეჯიშვილმა 76 ხმა მიიღო, ქორიძემ — 58. ქორიძე ყრილობამ მაინც აირჩია საპატიო პრეზიდენტად. ვიცე-პრეზიდენტები კვლავ თემურ ყაზარაშვილი და ვალიკო იაშვილი არიან, გენერალური მდივანიც იგივეა — ომზარ შოშიტაშვილი.

ყრილობის მუშაობა დასრულებულად რომ გამოცხადდა, სიტყვა სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო ქვეკომიტეტის ხელმძღვანელმა მანუჩარ მაჩაიძემ ითხოვა. პარლამენტარმა ისაუბრა სპორტის კანონის ღირსებებზე, სპორტის წარსულზე და მომავალზე, გაჭირვებასა და დალხინებაზე, წარმატებებსა და წარუმატებლობებზე.

ვეტერანმა მოჭიდავეებმა 60 წელს გადაცილებული გამოჩენილი სპორტსმენების მატერიალურად უზრუნველყოფა მოითხოვეს. ითქვა, რომ სირცხვილია, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები თვეში რვაათი ლარის ამარა რომ არიან. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა ამ ამაგდარ ადამიანებს დახმარება აღუთქვა.

**ერეკლე კიკილაშვილი**

## ყინულის ჰოკეი

### ეროვნულ ლიგაში

28. X. მონრეალი — ფინიქსი 4:5, კოლორადო — ვაშინგტონი 1:0
29. X. ბოსტონი — ნიუ-ჯერსი 5:2, რეინჯერსი — ფლორიდა 1:1, ტამპა — ჩიკაგო 2:2, ტორონტო — ლოს-ანჯელესი 2:5

37 წლის ფინიქსელმა გარტნერმა ოვერ-ტაიმის მე-2 წუთზე მონრეალს გამარჯვების შანსი აღარ დაუტოვა და გუნდს ერთობ საჭირო 2 ქულა მოუპოვა. ეს გარტნერის მეორე გოლი იყო ამ მატჩში. მან პირველმა უწია 10-შაიბიან ზღვარს. მანამდე მონრეალმა ძირითადი დროის ბოლო წუთზე გაათანაბრა ანგარიში. მასპინძელთა კაპიტანი ტარჯონი ოთხივე გოლში მონაწილეობდა.

ერთადერთი შაიბა გავიდა კოლორადოში, თუმცალა საკმაოდ შედეგიანი გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეს იმადაცაა უცნაური, რომ კლუბებმა მეორე გოლკიპერები ათამაშეს. ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა საკიკმა თავის პირად მონაგარს ვერაფერი შემატა, გოლი კი კამენსკიმ გაიტანა.

კვლავ გაიბრწყინა გრეცკიმ — მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და რეინჯერსი მორიგი მარცხს გადაარჩინა. ფლორიდას უკვე 11 თამაში არ წაუგია, რაც კლუბის რეკორდია.

ბოსტონში შეხვედრის ბედი „დათვების" ზედიზედ სამმა შაიბამ გადაწყვიტა. ეს ყველაფერი 8 წუთში ჩაეტია. გუნდის დისპეჩერმა ოუთსმა 3 ქულა დააგროვა.

ტორონტოელ სუნდინს, რომლის მონდომება და აქტიურობა თითქმის ყველა თამაშში შესამჩნევია, ამჯერად მხარი ვერავინ აუბა. ლოს-ანჯელესში, პირიქით, ყველა ლიდერმა იყოჩაღა. ფერარო — პეროს დუეტმა სამი შაიბა შეაგდო, გადამწყვეტი — მესამე კი ვეტერან ოლჩიკის ანგარიშზეა.

ტამპამ და ჩიკაგომ სისარელისა და უეინ რიჩის ორ-ორი შაიბით გაიყვეს ქულები. ვეტერანმა სისარელიმ თავისი 558-ე გოლი გაიტანა და ყველა დროის ნუსხაში მეათე ადგილზე მყოფ ლეფლერს ორითლა ჩამორჩება.

ბომბარდირები: საკიკი (კოლორადო) 19 (5+14); გრეცკი (რეინჯერსი) 18 (6+12), ნოლანი (სან-ხოსე) 15 (6+9), ფორსბერგი (კოლორადო) 15 (5+10), კოივუ (მონრეალი) 14 (6+8); ხრისტიჩი (ლოს-ანჯელესი) 14 (3+11), ლემიე (პიტსბურგი) 13 (5+8), ნიკოლზი (სან-ხოსე) 13 (4+9), გარტნერი (ფინიქსი) 12 (10+2), იაშინი (ოტავა) და სუნდინი (ტორონტო) 12 (8+4)

სნაიპერები: გარტნერი 10; იაშინი, სუნდინი 8; სმითი (ედმონტონი), შენაპანი (დეტროიტი), სისარელი (ტამპა) 7

ასისტენტები: საკიკი 14; გრეცკი 12; ხრისტიჩი 11; ტარჯონი (მონრეალი), ფორსბერგი 10; ნოლანი, ნიკოლზი 9


ფლორიდელი შვედი გარპენლოვი (29) და ნიუ-იორკელი ბიუკენბუმი
აპ-ის ფოტო

დებიუტანტები: კემბელი (სენტ-ლუისი) 10 (6+4); მარი (ედმონტონი) 9 (7+2), სმითი 9 (7+2); აიჯინლა (კალგარი) 9 (5+4), გონო (რეინჯერსი) 7 (5+2)

მცველები: ოზოლინში (კოლორადო) 10 (2+8), ლიჩი (რეინჯერსი) 9 (2+7), მაკინისი (სენტ-ლუისი), პაუსლი (ვაშინგტონი) 8 (3+5), გუსტაფსონი (ფლორიდა) 7 (3+4)

სამველ ღარიბიანი

| | თ | მ | ფ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი | | | | | | |
| ჰარტფორდი | 7 | 5 | 0 | 2 | 24:19 | 10 |
| ბუფალო | 10 | 5 | 0 | 5 | 30:32 | 10 |
| მონრეალი | 10 | 4 | 2 | 4 | 42:41 | 10 |
| ბოსტონი | 9 | 4 | 1 | 4 | 30:27 | 9 |
| ოტავა | 9 | 3 | 3 | 3 | 27:28 | 9 |
| პიტსბურგი | 10 | 2 | 0 | 8 | 23:43 | 4 |
| ატლანტიკის დივიზიონი | | | | | | |
| ფლორიდა | 11 | 7 | 4 | 0 | 36:18 | 18 |
| ტამპა | 9 | 5 | 1 | 3 | 33:29 | 11 |
| რეინჯერსი | 13 | 4 | 3 | 6 | 40:42 | 11 |
| ფილადელფია | 11 | 5 | 0 | 6 | 29:30 | 10 |
| ნიუ-ჯერსი | 9 | 4 | 1 | 4 | 22:25 | 9 |
| ვაშინგტონი | 9 | 3 | 0 | 6 | 25:29 | 6 |
| აილენდერსი | 8 | 1 | 3 | 4 | 18:22 | 5 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | | | | |
| დალასი | 10 | 8 | 0 | 2 | 32:22 | 16 |
| ჩიკაგო | 12 | 6 | 2 | 4 | 31:29 | 14 |
| დეტროიტი | 11 | 6 | 1 | 4 | 27:17 | 13 |
| სენტ-ლუისი | 11 | 5 | 0 | 6 | 33:32 | 10 |
| ფინიქსი | 10 | 4 | 1 | 5 | 26:27 | 9 |
| ტორონტო | 10 | 4 | 0 | 6 | 25:34 | 8 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | | | | |
| კალგარი | 12 | 7 | 1 | 4 | 36:26 | 15 |
| კოლორადო | 12 | 7 | 1 | 4 | 44:28 | 15 |
| ედმონტონი | 11 | 6 | 0 | 5 | 37:34 | 12 |
| ლოს-ანჯელესი | 12 | 5 | 1 | 6 | 33:40 | 11 |
| სან-ხოსე | 12 | 4 | 3 | 5 | 35:40 | 11 |
| ვანკუვერი | 9 | 4 | 0 | 5 | 24:28 | 8 |
| ანაჰაიმი | 11 | 1 | 2 | 8 | 24:44 | 4 |

## თხილამურები



# კატიამ გაილაღა

დაზამთრების უტყუარი ნიშანი ალპურად მოთხილამურეთა მსოფლიო თასის დაწყებაა. მარტის დამლევამდე საფრანგეთის, იტალიის, სლოვენიის, ავსტრიის, შვეიცარიის, გერმანიის, კანადის, აშშ-ისა და იაპონიის სამთო კურორტებზე ვაჟები 20, ქალები კი 17 შეჯიბრს გამართავენ. ამათში ითვლება მსოფლიო ჩემპიონატიც, რომელსაც 2-16 თებერვალს უმასპინძლებს სესტრიერე (იტალია).

ახალი სეზონის პირველი შეჯიბრი შაბათ-კვირას გაიმართა ზოლდენში (ავსტრია), რეტენბახის მყინვარზე. იქ ქალებმა და ვაჟებმა გიგანტურ სლალომში სინჯეს ძალა.

ქალთა შაბათის შეჯიბრს ნისლი და თოვა შეემთხვა. პირველი დაშვება მოიგო ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და სიერა-ნევადაში (ესპანეთი) თებერვალში გამართულ მსოფლიო პირველობაზე გიგანტურ სლალომში გამარჯვებულმა დებორა კომპანიონიმ (იტალია), მაგრამ მეორე დაშვებისას ტრასის ზედა, ერთობ მოლიპულ ნაწილში შეცდა და საბოლოოდ მეორე ადგილს დასჯერდა. ამით ისარგებლა 24 წლის გერმანელმა, რაგინდარა ტიტულის მფლობელმა კატია ზაიცინგერმა და პირველ ადგილზე აინაცვლა.

ზაიცინგერი წინა მსოფლიო თასის აბსოლუტური ჩემპიონია, თუმც კი გიგანტურ სლალომზე მეტად სწრაფდაშვებასა და სუპერ-გიგანტშია დახელოვნებული. ამას ისიც მოწმობს, რომ კატიამ იმ დღეს სულ 25-ედ გაიმარჯვა, გიგანტურ სლალომში კი — მხოლოდ მეოთხედ. ამ სეზონში გერმანელის მიზანი მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობა ყოფილა. როგორც თავად ზაიცინგერი ამბობს, თხილამურები მისთვის ხელობის გარდა პობიცაა და ისიც აინტერესებს, ყველაფრის მოგების შემდეგ იმავე დისციპლინებში ხელახლა თუ გაიმარჯვებს.

ზოლდენის გიგანტური სლალომი (ჯამური დროები): ზაიცინგერი 2.11,81; კომპანიონი 2.11,93; პილდე გერგი (გერმანია) 2.13,84; ანა გალინდო სანტოლარია (ესპანეთი) 2.13,96; კარინ როტენი (შვეიცარია) 2.14,19; ილვა ნოვენი (შვედეთი) 2.14,95; ...

ქულები მოწინავე 30-ეულს ერგება. ზაიცინგერის მონაგარი 100 ქულაა, კომპანიონისა — 80, გერგის — 60; შემდეგებისა — 50, 45, 40, 36 და ა. შ. 1 ქულამდე.

ერთა თასი (ქვეყნების შეჯიბრი): გერმანია 160 ქულა; შვეიცარია 94; იტალია 80; ავსტრია 78; ნორვეგია 68

კვირას ვაჟთა შეჯიბრი დარში გაიმართა. ორივე დაშვებისას ყველას აჯობა 29 წლის შვეიცარელმა სტივ ლოხერმა, მეორე ადგილზე კი მისი თანამემამულე მიხაელ ფონ გრენიგენი დარჩა. ეს კაცი წინა მსოფლიო თასის გიგანტური სლალომის ჩემპიონია, რაკი შარშანდელ ზამთარში ცხრიდან ხუთი სტარტი სწორედ მას მოუგია.

მესამე ადგილი დაიჭირა 1994 წლის მსოფლიო თასის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ნორვეგიელმა ხეტილ ანდრე ომოდტმა, ვინაც პირველი დაშვების შემდეგ მეცხრე ადგილზე იყო. რაც შეეხება ბოლო მსოფლიო თასის აბსოლუტურ ჩემპიონს, ასევე ნორვეგიელ ლასე ხიუსს, იგი პირველი დაშვების შემდეგ მესამე ადგილზე იყო, მაგრამ მეორედ დაშვებისას ერთადერთი იგი დაეცა.

გამარჯვებულ ლოხერს ბოლო ხანს ბედი აშკარად არ წყალობდა. 1992 წელს, ალბერვილის ოლიმპიადაზე კომბინაციაში ბრინჯაო რომ მოიპოვა, მასუკან თითქმის ველარაფერს მიაღწია. კვირას სტივმა კარიერაში ოდენ მესამე შეჯიბრი მოიგო, მერე კი ერთობ შეაქო ფონ გრენიგენი და სხვა თანაგუნდელებიც, ესაო და ისეთი მეგობრული გუნდი ვართ, რომ ჩემი გამარჯვება ყველას ალალად გაეხარდაო.

ზოლდენის გიგანტური სლალომი: ლოხერი 2.03,20; ფონ გრენიგენი 2.03,51; ომოდტი 2.04,20; ჰანს კნაუსი (ავსტრია) 2.04,24; ურს კელინი (შვეიცარია) 2.04,31; კრისტიან მაიერი (ავსტრია) 2.04,32; გიუნთერ მადერი (ავსტრია) 2.04,39; ვენსან მიიე (საფრანგეთი) და იურე კოსირი (სლოვენია) 2.04,46;...

ერთა თასი: შვეიცარია 230; ავსტრია 172; ნორვეგია 82; საფრანგეთი 76; იტალია 64

ახლა მსოფლიო თასზე სამკვირიანი პაუზაა. შემდეგი შეჯიბრი 21-24 ნოემბერს გაიმართება პარკ-სითიში (იუტა, აშშ), სადაც პროგრამაში სლალომი და გიგანტური სლალომია. იუტადან მოთხილამურეები კოლორადოსა და კანადაშიც შეივლიან, ევროპას კი ვარსკვლავთა დასი 12 დეკემბრიდან დაუბრუნდება. იმ დროისთვის ვალდიზერში (საფრანგეთი) ვაჟთა სწრაფდაშვება და სუპერ-გიგანტი და ქალთა გიგანტური სლალომი და სუპერ-გიგანტია დანიშნული.

მიხო ნინუა

## ჩოგბურთი

### გავარდნენ კურიე, კრაიჩეკი, აგასი და ... ლელა მესხიც

პარიზში, „ბერსის" დარბაზში მიმდინარე 2,5-მილიონდოლარიანი და 48-მონაწილიანი ტურნირის პირველსავე წრეში გავარდა სამი ბობოლა: ჯიმ კურიე (აშშ, 15), რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 7) და ანდრე აგასი (აშშ, 9). მათ წააგეს არნო ბეჩთან (საფრანგეთი) 4:6, 5:7, ალბერტო ბერასატეგისთან (ესპანეთი) 6:3, 1:6, 5:7 და მაგნუს გასტაფსონთან (შვედეთი) 4:6, 6:3, 3:6. ამით აგასიმ დაკარგა ჰანოვერში დანიშნულ ატპ-ის მსოფლიო პირველობაზე მოხვედრის ბოლო შანსი.

პირველ წრეშივე გავარდა მოსკოვში, კრემლის თასზე მოთამაშე ლელა მესხი, ვისაც სამშაბათს 6:1, 6:1 მოუგო სლოვაკმა კატარყინა სტუდენიკოვამ (8).

## რაგბი

საქართველოს XXIX პირველობა

მოწინავე ექვსეული

### მატჩი ჩაიშალა

#### მორაგბეები სამართალს ეძებენ

გუშინწინ ვაკეში არ გამართულა „ყოჩებისა" და „ქორების" მატჩი. საქმე ისაა, რომ ერთკვირიანი, თითქმის გადაუღებელი წვიმების შემდეგ მოედანი ისე დასველდა, რომ მისი გაფუჭების შიშით სტადიონის უფროსობამ მორაგბეები მოედანზე არ შეუშვა.

ამან მრავალგზის ჩაგრული „ყოჩები" გააგულისა. მათაც კადნიერად გადაწყვიტეს, აკრძალვას არ დამორჩილებოდნენ და მაინც ეთამაშათ. საამისოდ სარაგბოდ თავად გააწყვეს მოედანი და მასზე კიდეც შევიდნენ, მაგრამ მეტოქე „ყოჩებს" არ აჰყოლია.

როგორც „ქორების" უფროსობამ უთხრა სტადიონზე საინტერვიუოდ მისულ ტელევიზიის წარმომადგენლებს, მათ წესად არა აქვთ ისეთი რამის ჩადენა, რასაც უკრძალავენ. სხვა ვერსიით „ქორები" მოერიდნენ ურთიერთობის გამწვავებას რკინიგზასთან, რომელსაც, ცოდვა გამხელილი სჯობს და ოდენ ფორმალურად ეკუთვნიან.

ასეა თუ ისე, მატჩი არ გამართულა და დაუდგენელი ვადით გადაიდო. თუ არ გამოიდარებს, იგივე ბედი შეიძლება ეწიოს ჩემპიონატის სხვა თამაშებსაც. ეს ძლიერ აფორიაქებთ მორაგბეებს, რაკი მიაჩნიათ, რომ რუსეთთან გამარჯვების მიუხედავად კვლავაც იჩაგრებიან. არადა, ვაკის სტადიონის უფროსობის თქმით, მათ წინა კვირაში რკინიგზის ფეხბურთის გუნდიც კი არ შეუშვიათ ნანვიმარ მოედანზე.

## ველორბოლა

### ლონგო

ორშაბათს 38 წლისა მოიყარა უბერებელი ფრანგი ქალი ჟანი ლონგო, ორი დღით ადრე კი დაიბრუნა საათიანი რბოლის მსოფლიო რეკორდი, რომელსაც ჯერ კიდევ ათი წლის წინ ფლობდა.

ლონგომ, ვისაც მისივე ქმარი, გვარად სიპრელი წვრთნის, მეხიკო-სითის ოლიმპიურ, ცემენტის ტრეკზე იასპარეზა და 48 159 მეტრი გაიარა. წინა რეკორდი — 47 411 მეტრი ბრიტანელ ივონ მაკგრეგორს ეკუთვნოდა და 1995 წლის 17 ივნისს იყო დამყარებული მანჩესტერის უახლეს, ბალტიის ფიჭვიან ტრეკზე.

როგორც ლონგო გამოტყდა, საათიანი რეკორდის საიერიშოდ ქმარმა შეაგულიანა. საასპარეზოდ მანჩესტერის ნაცვლად მეხიკოს არჩევა ჟანიმ იმით ახსნა, რომ თავადაც მაღალმთიანეთში, გრენობლის მახლობლად დაბადებულა და ამგვარ გარემოში თავს უკეთ გრძნობს.

მსოფლიოს 11-გზის ჩემპიონმა ქალმა რეკორდს ამ ერთი თვის წინაც შეუტია შტუტგარტში, მაგრამ მაშინ 47-კილომეტრიანი ზღვარიც კი ვერ დაძლია. მერე ლონგომ ოთხშაბათს, 23 ოქტომბერსაც სცადა მეხიკოში, მაგრამ ისევ ამაოდ.

შაბათს ტრეკზე ოფიციალურ პირთა, რეპორტიორთა და ლონგოს ახლობელთა მცირერიცხოვანი რაზმი შეიკრიბა. მოასპარეზემ დაიცადა, ვიდრე ტენიანობა დაინევდა და დაცხებოდა. ამას ნიავის გაძლიერება მოჰყვა და საწყისი 15 წუთი ლონგომ პირქარში ირბოლა, მაგრამ მერე ესიოც ჩადგა და პირობები იდეალური შეიქნა.

ვეტერანმა დედაკაცმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. მწვრთნელი ყოველ წრეზე კარნახობდა ტემპს, სხვა მოვარჯიშეებმა კი საათის დამლევს თავიანთ საქმეს თავი ანებეს და მრბოლს ხმამაღლა ქომაგობდნენ. ჟანიც მთლად გახელდა და 48 კილომეტრზე მეტი გაელო.

ლონგომ წლევანდელი სეზონი დაასრულა. საათიანი რეკორდის დაბრუნების გარდა მან ატლანტის ოლიმპიადაზე მოიგო საგზატკეცილო რბოლა, ლუგანოს მსოფლიო პირველობაზე — სიჩაუქის გამოცდა, ამასთან პრესტიჟულ „ერთა გრან-პრიშიც" გაიმარჯვა. ამბობდნენ, ჟანი ახალ წლამდე 5000 მეტრის მსოფლიო რეკორდსაც შეუტევსო, მაგრამ ქალმა განაცხადა, ზამთარში დავისვენებ და გაისად ვცადო თუ არა, მაშინ გადავწყვეტო.

### მიუზეუვი

კვირას მე-11 შეჯიბრით დასრულდა კლასიკური — ერთდღიანი რბოლების მსოფლიო თასის გათამაშება. უცუნომიას წრიულ ტრასაზე მონაწილეებმა 179,5 კილომეტრზე იასპარეზეს და იაპონიის თასი გაითამაშეს.



აპ-ის ფოტო

ჯამური ჩათვლის ლიდერის — ბელგიელი იოჰან მიუზეუვის დაწევის შანსი მხოლოდ იტალიელებს — ანდრეა ფერიგატოსა და მიქელე ბართოლის ჰქონდათ. ერთი მიუზეუვთან 36 ქულას აგებდა, მეორე — 38-ს, ეტაპზე გამარჯვება კი 50 ქულად ფასობს.

ბართოლის იაპონიაში საერთოდ არ უასპარეზია. იქ ჩასვლას არც 31 წლის ბელგიელი ფიქრობდა, რაკი სეზონით გადაღლილს თვალში არ მოსდიოდა მთიანი 14-კილომეტრა წრე, მაგრამ ბოლოს მაინც გადაიფიქრა და თუმც ვერ მოიგო — 26-ე ადგილზე გავიდა, ვერც ფერიგატომ ივარგა დიდად — ზედ მიუზეუვის წინ მიაღწია ფინიშს.

გაიმარჯვა შვეიცარელმა მაურო ჯანეტიმ, რომელიც დაწინაურებულ ექვსეულს მაშინ გაექცა, ფინიშამდე 8 კილომეტრი რომ რჩებოდა. მეორე და მესამე ადგილებზე დარჩენილები — ფრანგი პასკალ ერვე და იტალიელი ანდრეა პერონი ჯანეტიმ საბოლოოდ 23 და 24 წამით ჩამოიტოვა.

გაისად ეს რბოლა მსოფლიო თასში აღარ ჩაითვლება. მიუზეუვმა წელს ზედიზედ მეორედ მოიპოვა მსოფლიო თასი, თუმც კი 11-დან ერთადერთ ეტაპზე (აპრილში, პარიზი — რუბე) გაიმარჯვა. სულ მის ანგარიშზე 65 რბოლაში პირველობაა, მათ შორის — ლუგანოს მსოფლიო პირველობაზე საგზატკეცილო რბოლის მოგებაც.

მსოფლიო თასი (საბოლოო ცხრილი): მიუზეუვი 162 ქულა; ფერიგატო 126; ბართოლი 124; ანდრეა ტაფი (იტალია) 107; სტეფანო ძანინი (იტალია) 88; ჯანეტი 87; ლანს არმსტრონგი (აშშ) 81; ფაბიო ბალდატო (იტალია) 77; დავიდე რებელინი (იტალია) 68; ალექსანდრ გონჩენკოვი (რუსეთი) 67; ...

### ... და ტური

პარასკევს გამოქვეყნდა საგაისო საფრანგეთის ტურის — ტურ-დე-ფრანსის განრიგი და სვლაგეზი. გაირკვა, რომ ტური უბრუნდება მშობლიურ წიაღს: ბოლო წლებში გახშირებული საზღვარგარეთ გასვლები გაისად თითქმის აღარ იქნება. მონაწილენი მხოლოდ ანდორასა და ფრიბურგში (შვეიცარია) შეივლიან.

ტური 5 ივლისს დაიწყება ჩრდილოეთის ქალაქ რუანში და 27 ივლისს დასრულდება პარიზში. პროლოგისა და 21 ეტაპის ჯამური სიგრძე 2405 მილია. დასვენების დღე 11 ეტაპის შემდეგ, 17 ივლისსაა. საწყისი პუნქტის არჩევანი განაპირობა იმან, რომ რუანში დაბადებულა ტურის ხუთგზის გამარჯვებული, ლეგენდარული ფრანგი ჟაკ ანკეტილი, ვისაც გაისად გარდაცვალების 10, ხოლო ტურში პირველი გამარჯვების 40 წლისთავი უსრულდება.

რუანიდან მრბოლები დასავლეთ ნაპირს სამხრეთისკენ დაუყვებიან და საათის ისრის მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით დაძლევენ ლანდებს, პირენეებსა და ალპებს. ეს ხელს არ აძლევს დიდ ესპანელ მიგელ ინდურაინს, რომელიც, თუ ჭორებს დაეჯერება, „ბანესტოდან" ONCE-ში გადადის და ტურის მოგებას მეექვსედ ეცდება. მას თურმე ჯერ საშიში ალპების გავლა ურჩევნია, მერე — საყვარელი პირენეებისა, და არ პირუკუ.

რუანული პროლოგის გარდა ტურში კიდევ ორი სიჩაუქის გამოცდაა — XII და XX ეტაპებზე. სამი ეტაპის ფინიში აღმართზეა დანიშნული, ერთი სიჩაუქის გამოცდა და ძირითადი სამთო ეტაპები კი ერთკვირიან მონაკვეთშია მოქცეული. ეს თურმე გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს ფრანგ რიშარ ვირონკს, შარშან და წელს მთათა მეუფე რომ ყოფილა.

ესპანეთის „ვუელტას" სამგზის, ხოლო იტალიის „ჯიროს" ერთგზის გამარჯვებული, 35 წლის შვეიცარელი ტონი რომინგერი, აქამდე „მაპეის" ლიდერი რომ იყო, კარიერას გაისად დაასრულებს ახალ ფრანგულ გუნდ „კოფიდისში".

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## კრივი

### კინგის ომები

მენეჯერთა მენეჯერი დონ კინგი მორიგ საშარო საქმეებშია გარეული: ერთი ლუის — მაკქოლის შერკინების გამო ამტყდარი, მეორე კი ტაისონ — ჰოლიფილდის ჩხუბის მიზეზით.

კინგი ბრიტანელ ლენოქს ლუისს თამაშგარეთ ხშირად რომ ტოვებს, ახალი ამბავი როდია. აი, ახლაც, ამ ერთი თვის წინ გამართულ აუქციონზე კინგი ლუისის პატრონ „მეინ ივენთსზე" სამი მილიონით მეტს ჩავიდა და 9 მილიონ დოლარად ლუის — მაკქოლის შერკინების გამართვის უფლება იყიდა.

ეს ბრძოლა ვაკანტური —, კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) სარტყლისთვის უნდა გაიმართოს. ტახტი იმადაა თავისუფალი, რომ კინგისავე მითითებით ტაისონმა მასზე ნებით აიღო ხელი, რადგან დიდ მენეჯერს ტაისონისა და ლუისის შებმა ხელს არ აძლევდა, რაკი ლუისი კონტრაქტით იმ ტელე-არხებთანაა შეკრული, რომლებიც კინგის მოკავშირეებთან უბრად არიან.


ოლსპორტის ფოტო

ლუის — მაკქოლის შერკინება რომ ბრძანა, საქმის განმრიგე ნიუ-ჯერზის სასამართლომ მაისშივე განაჩინა, შეხვედრის ბოლო ვადა აუქციონიდან სამი თვის თავიაო. ეს ვადა 26 დეკემბერს იწურება, მაგრამ წინა კვირაში არგენტინაში შეიკრიბნენ ვბკ-ის მამები და ჯერაც დაუნიშნავი ჩხუბი კიდევ ერთი თვით გადაავადეს.

ლუისი მონდომებით ვარჯიშობს და საქმის გაჯანჯლება ხელს არ აძლევს. ამიტომაც ვბკ-ს უჩივლა. ამის პასუხად მსაჯულმა ეიმონ სონდერსმა მენეჯერი კინგი და ვბკ-ის პრეზიდენტი ხოსე სულეიმანი სასამართლოში 14 ნოემბერს დაიბარა და დაექადნა, თუ არ მობრძანდებით, თქვენს დასაპატიმრებელ ორდერს გავცემო.

უეჭველია, რომ კინგი ფეხს აითრევს. მოსალოდნელია მისთვის შერკინების გამართვის უფლების ჩამორთმევა. ლუისსაც მორიგი ზარალის საკომპენსაციოდ ჩივილი მოუწევს და ტაისონთან შერკინების ჩაშლის გამო მიღებული 4 მილიონისა არ იყოს, ახლაც გვარიან მუქთა ფულს გამოკრავს ხელს, მაგრამ რინგზე კი მაინც ვერ ავა!

ახლა ტაისონ — ჰოლიფილდის ასოციაციის (ვბა) საჩემპიონო ბრძოლისაც ვთქვათ, კინგი 9 ნოემბერს ლას-ვეგასში რომ მართავს. აქ პრობლემა ისაა, რომ მატჩის გადამცემი საკაბელო ტელევიზია აბონენტებს 500-დოლარიანი ქირის ერთი მესამედის დაბრუნებას პირდება, თუკი ჩხუბი სამ რაუნდზე ნაკლებს გასტანს.

ეს აშფოთებთ ნევადის შტატის კრივის ხელისუფლებს. მათი აზრით, მეკაბელეები ფულს ძნელად შეელევიან და მოკრივეებს, რეფერისა და ექიმებს აიძულებენ შერკინების ძალისძალად გახანგრძლივებას, ამას კი შეიძლება უბედური შემთხვევა მოჰყვეს, ვინაიდან გასალახად შეგულვებულ ჰოლიფილდს საქმე დაუნდობელ ტაისონთან ექნება.

ვალერი ჯიქია

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29